მშვიდობისა და მეგობრობის ვიზიტი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის მე-40 წელი | № 72 (11683) | შაბათი, 26 მარტი, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. ს. ხრუშჩოვი ხელს აწერს პარიზის მუნიციპალიტეტის საპატიო სტუმართა წიგნში.

ფოტო „იზვესტიის“ სპეციალური ფოტოკორესპონდენტის ს. სმირნოვისა. (მიღებულია ფოტოტელეგრაფით).

მიღება პარიზის მუნიციპალიტეტში

საფრანგეთის პრემიერ-მინისტრ დებრესთან საუბრისა და თავის რეზიდენციაში ხანმოკლე დასვენების შემდეგ, ნ. ს. ხრუშჩოვი მეუღლითურთ და მისი თანმხლები პირები წავიდნენ დარბაზობაზე, სადაც საბჭოთა მთავრობის მეთაურის პატივსაცემად მოეწყო ქალაქის მუნიციპალიტეტში.

სენის სანაპიროს გაყოლებით რეზიდენციიდან ოტელ დე ვილის მოედანამდე, სადაც ქალაქის რატუშაა, ჩამწკრივებულა დიდძალი ხალხი, რომელსაც სურს მივესალმოს საპატიო საბჭოთა სტუმარს. ბევრმა ქარმა და წვიმამ ვერ შეაჩერა მრავალი ათასი პარიზელი, რომლებიც ორ საათზე მეტ ხანს ელოდნენ მოედანზე ნ. ს. ხრუშჩოვის მოსვლას. მოედნის ირგვლივ სახლების აივნებზე, ფანჯრებში, სახურავებზე, ყველგან ადამიანები იდგნენ. ბევრნი მოსულან ოჯახებიანად და ატარებენ პატარა ბავშვები.

ზღვა ხალხში ბევრია საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის ალმები და ლოზუნგები: „მეგობრობა“, „ხრუშჩოვი — მშვიდობა“, „სალამი ხრუშჩოვს“.

კორტეჟი უახლოვდება რატუშის მთავარ შესასვლელს, სადაც ჩამწკრივებულია რესპუბლიკური გვარდიის სპატაკი. საბჭოთა მთავრობის მეთაური და მისი თანმხლები პირები შედიან ხალხიჩებიან დარბაზში, სადაც ნ. ს. ხრუშჩოვმა ხელი მოაწერა საპატიო სტუმრების წიგნში. შემდეგ ყველანი ადიან კიბით საღღესასწაულო დარბაზში, სადაც უკვე შეკრებილა ორი ათასზე მეტი სტუმარი. დამსწრეთა შორის არიან: საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი მიშელ დებრე, პარიზის მუნიციპალური საბჭოს თავმჯდომარე პიერ დეგრენი, სენის დეპარტამენტის პრეფექტი ბენედეტი, მუნიციპალური მრჩევლები და სხვა პირები.

როცა დარბაზის კარში გამოჩნდა ნ. ს. ხრუშჩოვი, ყველანი ფეხზე ადგნენ და მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით მიესალმნენ საბჭოთა მთავრობის მეთაურსა და მის თანამგზავრებს.

პარიზის მუნიციპალური საბჭოს სახელით ნ. ს. ხრუშჩოვს მიესალმა პ. დეგრენი. ბედნიერი ვარ მოგესალმოთ თქვენ და ქალბატონ ხრუშჩოვს! პარიზში, ამბობს იგი. პარიზი მუდამ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა თანხმობას ყველა ხალხს შორის. პარიზი მუდამ მიესალმება სხვა ქვეყნების სახელმწიფო მოღვაწეებს, რომლებიც ჩამოდიან იმისათვის, რომ განიხილონ ჩვენს სახელმწიფო მოღვაწეებთან ერთად საკითხი, თუ როგორ შეიძლება უკეთ უზრუნველყოფილ იქნას ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობა. პარიზი ყოველთვის მიესალმება ხალხთა თანაარსებობას. თქვენი ვიზიტი საფრანგეთში, პარიზში საწინდარია ახალი ეტაპისა ძნელ, მაგრამ ამავე დროს იმედით აღსავსე გზაზე, რომელსაც მივყავართ ნამდვილი მშვიდობისაკენ ჩვენს პლანეტაზე.

საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა დებრემ თავის სიტყვაში აღნიშნა პარიზის როლი საფრანგეთის პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში. დებრემ დამსწრეთ მოგონა პარიზის მდიდარი ისტორია, მისი დღევანდელი სახე. ყველა პარიზელს, ისევე როგორც ყველა ფრანგს, ხაზგასმით აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა, შეგნიბული აქვს თქვენი ვიზიტის დიდი მნიშვნელობა.

აღნიშნა რა, რომ პარიზელები, რომლებმაც არცთუ ისე დიდი ხანია გადაიტანეს ომი, აფასებენ მშვიდობას, მიშელ დებრემ განაცხადა: „ჩვენ ვიცით, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს, რათა ჩვენს დედამიწაზე დამყარდეს ნამდვილი და მტკიცე მშვიდობა. საჭიროა, რომ საფრანგეთი ხელს უწყობდეს საერთო ღონისძიებებს, რათა მისცეს კაცობრიობას უაღრესად მტკიცე გარანტიები ახალი ომის წარმოშობის საფრთხის წინააღმდეგ“.

დამსწრეთა ტაშის გრიალში მიკროფონთან მიდის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი.

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

ბატონო მუნიციპალური საბჭოს თავმჯდომარეო!

პარიზელებო!

საფრანგეთში ჩვენ ვიმყოფებით სულ მხოლოდ მეორე დღეა, მაგრამ უკვე ვიგრძენით ფრანგი ხალხის მთელი სტუმართმოყვარეობა და მეგობრული დამოკიდებულება. მინდა გულითადი მადლობა გადაგიხადოთ თქვენ და თქვენი სახით ყველა პარიზელს, რომლებიც ბევრნი და დღეს მოგვესალმენ, მოდენენ გაზაფხულის პარიზის მოედნებზე, ბულვარებზე და ქუჩებში, იმ ყურადღებისა და გულთბილობისათვის, რაც გამოიჩინეთ ჩვენდამი.

პარიზში მე პირველად ვარ. მაგრამ მსოფლიოში ვინ არ იცის ეს ქალაქი! მეც ბევრი წამიკითხავს და გამიგონია მასზე. და ახლა ისეთ გრძნობას განვიცდი, თითქოს კარგ ძველ ნაცნობს შევხვდი.

პარიზი საფრანგეთის გულია. და როგორც გულს შეშვენის, იგი ცხოვრების ტონს აძლევს თქვენი ქვეყნის ყველა სხვა ქალაქს, დაბასა და სოფელს. ეს არის გაბედული შემართების ქალაქი, რომელმაც მსოფლიოს მისცა დიდი მოაზროვნეები, შესანიშნავი მეცნიერები, ნიჭიერი მწერლები, უაღრესად დახელოვნებული მუშები. ფრანგმა ხალხმა შექმნა პარიზი—მსოფლიოს ერთ-ერთი უაღრესად შესანიშნავი ქალაქი და სახელი გაუთქვა მას სამუდამოდ თავისი შრომით და რევოლუციური გმირობით.

ჩვენთვის, საბჭოთა ადამიანებისათვის, პარიზი ძვირფასია კიდევ იმით, რომ აქ მთელი რიგი წლების განმავლობაში ცხოვრობდა და მუშაობდა ჩვენი სახელმწიფოს დიდი დამაარსებელი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი.

პარიზი, ისევე როგორც მოსკოვი, ერთ დროს ეროვნული სახელმწიფოს აკვანი იყო. პარიზის, საფრანგეთის ამ ეროვნული დიდების სიმბოლოს როლი, დიდი და არაჩვეულებრივია არა მარტო საფრანგეთის ისტორიაში, არამედ მთელი კაცობრიობის ისტორიაშიც. ბასტილიის დაცემამ, XVIII საუკუნის დამლევის საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ სერიოზულად გამოუთხარა ძირი ევროპაში ფეოდალური რეაქციის საყრდენებს და ფართო გამოძახილი გამოიწვია მსოფლიოს ხალხთა შორის. XIX საუკუნის საუკეთესო ადამიანები აღტაცებული იყვნენ პარიზელებით, რომლებმაც დაამსხვრიეს აბსოლუტური მონარქიის ციხე-სიმაგრე და იბრძოდნენ ხალხთა თავისუფლებისათვის, თანასწორობისა და ძმობისათვის.

პარიზთან პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში, ისევე როგორც მოსკოვთან 1941 წელს, სერიოზული დარტყმა იგემა გერმანიის მილიტარიზმმა. პარიზის აჯანყებამ 1944 წლის აგვისტოში ცოტათი როდი მოამზადა მთელი საფრანგეთის საბოლოო განთავისუფლება ფაშისტ ოკუპანტთაგან. ომის დროს მე სტალინგრადის ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრი ვიყავი. მინდა მოვაგონო პარიზელებს, რომ სამი ფაშისტური დივიზია, რომლებიც 1940 წლის ივნისში საფრანგეთის დედაქალაქში შემოიჭრა, 1943 წელს სტალინგრადის კედლებთან დაიღუპა.

მეგობრებო! ჩვენმა ცნობილმა პოეტმა ვლადიმერ მაიაკოვსკიმ ერთხელ თქვა: „მე ვისურვებდი მეცხოვრა და მოვმკვდარიყავი პარიზში, რომ არ ყოფილიყო ასეთი ქალაქი — მოსკოვი“. პოეტმა ამ ლაკონიური სიტყვებით გადმოგვცა თავისი აღტაცება საფრანგეთის დედაქალაქის გამო. მაგრამ სამშობლოს სიყვარული ადამიანის დიადი გრძნობაა. ფრანგებს უყვართ თავიანთი ქვეყანა, ჩვენ გვიყვარს ჩვენი ქვეყანა. საბჭოთა ხალხმა, რომელმაც 1917 წელს მოახდინა სოციალისტური რევოლუცია, მოკლე ისტორიულ ვადაში გადაჭრა უდიდესი სოციალური პრობლემა: შექმნა სოციალისტური საზოგადოება და ახლა მტკიცედ აშენებს კომუნიზმს. ეს არის გზა, რომელიც ჩვენმა ხალხმა აირჩია. ჩვენ მას არავის არ ვახვევთ თავს, მაგრამ თვითონ მივდივართ და განუხრელად ვიკლით ამ გზით. ჩვენი არჩევანი გაკეთებულია ორმოცი და მეტი წლის წინათ.

ნება მიბოძეთ მოკლედ გიამბოთ, თუ როგორ მიდის საქმე ჩვენს ქვეყანაში. ალბათ ისევე, როგორც სიტყვები „სპუტნიკი“, „ლუნნიკი“, თქვენთვის ცნობილია რუსული სიტყვა „სემილეტკა“. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმა მთავარ ამოცანად ისახავს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას. შვიდწლეულის ბოლოსათვის სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობა ერთიორად გადიდდება. უნდა აღინიშნოს, რომ მარტო 1959 წლის ზეგეგმითი პროდუქცია სჭარბობს რევოლუციამდელი რუსეთის მთელ წლიურ სამრეწველო პროდუქციას. ფოლადის გამოდნობა საბჭოთა კავშირში 1959 წელს შეადგენდა 60 მილიონ ტონას, რაც დაახლოებით უდრის ფოლადის გამოდნობას ინგლისში, საფრანგეთსა და დასავლეთ გერმანიაში ერთად. არანაკლებ წარმატებით ვითარდება ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობაც.

შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულია საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. 1960 წელს დამთავრდება რვა საათის სამუშაო დღიდან გადასვლა შვიდი და ექვსი საათის სამუშაო დღეზე, ხოლო 1964 წელს ჩვენ დავიწყებთ გადასვლას ექვსი და ხუთი საათის სამუშაო დღეზე, ამასთან ხელფასი არა თუ არ შემცირდება, არამედ გადიდდება. ამჟამად ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტის მესამედი ხმარდება განათლებას, კულტურას, ჯანმრთელობის დაცვას, სოციალურ უზრუნველყოფას, დაზღვევასა და მრავალშვილიანი დედებისათვის სახელმწიფო დახმარების გადახდას.

ჩვენმა მთავრობამ რამდენიმე ხნის წინათ მიიღო გადაწყვეტილება ათი-თორმეტი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქე უზრუნველყოს კარგი ბინებით. იმედი გვაქვს, რომ ეს პროგრამა დასახულ ვადაზე ადრე შესრულდება. მარტო გასულ 1959 წელს ჩვენი ქვეყნის ქალაქებსა და დაბებში აშენდა 2 მილიონ 200 ათასზე მეტი კეთილმოწყობილი ბინა, ხოლო სოფელ ადგილებში — დაახლოებით 850 ათასი საცხოვრებელი სახლი.

მიმდინარე 1960 წელს მშენებლობის გაქანება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნება. ქალაქებში ახალ ბინებს მიიღებს 10 მილიონი საბჭოთა ადამიანი, გარდა ამისა, დაახლოებით ერთი მილიონი საცხოვრებელი სახლი აშენდება სოფლად.

საბჭოთა სახელმწიფო უდიდეს ყურადღებას უთმობს მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებას. მარტო მოსკოვშია 77 უმაღლესი სასწავლებელი და სწავლობს თითქმის 200 ათასი სტუდენტი.

ცნობილია, რომ ზოგიერთი ქალაქი ბერდება. მაგრამ ვის შეუძლია თქვას, რომ ბერდება ჩვენი ძველი მოსკოვი?! იქმნება ახალი უდიდესი საცხოვრებელი რაიონები. მარტო 1959 წელს მოსკოვში აშენდა 79 ათასი ბინა. 1960 წელს მოსკოვში ავაშენებთ 90 ათასზე მეტ ბინას. შვიდწლედში დასახულია ჩვენს დედაქალაქში აშენდეს 600 ათასი ბინა, რაც თითქმის ორჯერ გადააჭარბებს რევოლუციამდელი მოსკოვის მთელ საცხოვრებელ ფონდს.

განა შეიძლება ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ სახელმწიფო, მთავრობა, ხალხი, რომლებიც ახორციელებენ ეკონომიური მშენებლობის ესოდენ ჭეშმარიტად უმაგალითო გეგმებს, საარსებოდ დაინტერესებული არიან იმით, რომ არ დაუშვან ომი? მე მსურს ხაზგასმით აღვნიშნო მხოლოდ ერთი რამ: ჩვენს ძველ პლანეტაზე არის ორი სოციალური სისტემა — კაპიტალისტური და სოციალისტური, მათ ერთმანეთის გვერდით უხდებათ ცხოვრება. მესამე რამ მოცემული არ არის! როცა მე ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიყავი, მართალია, მეკითხებოდნენ — ხომ არ აპირებენ საბჭოთა ადამიანები განაცხადონ, რომ მთავრეზე მათი რაკეტის მოხვედრასთან დაკავშირებით ეს პლანეტა საბჭოთა კავშირს ეკუთვნისო?! მე მაშინ ვუპასუხე, რომ ჩვენ ყოველგვარი მონაპოლიის წინააღმდეგი ვართ. შემიძლია ამას დავძინო: თუ არიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც არა სურთ ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობა. — შეიძლება დავეხმაროთ მათ მთავრეზე გამგზავრებაში, — დაე გაიყინონ იქ, დაე იქ იქადაგონ „ცივი ომი“.

მსურველი ალბათ არ აღმოჩნდება. უნდა ვისწავლოთ მშვიდობიანად ცხოვრება. ყოველი ხალხი თვითონ ირჩევს სახელმწიფოს მართვის საკუთარ სისტემას. სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირად წყდება სოციალური პრობლემები. მაგრამ არის ყველა ხალხისათვის ერთი საერთო პირობა, ურომლისოდაც შეუძლებელია სოციალური პროგრესი: ეს არის ხანგრძლივი და მტკიცე მშვიდობის შენარჩუნება. ფრანგებსა და საბჭოთა ადამიანებს არა სურთ არც ახალი ვერდენი, არც სტალინგრადის გამეორება — ეს მათ ძალიან ძვირად დაუჯდათ.

ომი არავის არ უქადის რაიმე სიკეთეს, განსაკუთრებით ატომურ-წყალბადისა და რაკეტული იარაღის ხანაში, რომლის გამოყენებაც თავისი მძიმე შედეგებით გადააჭარბებდა ყოველივე იმას, რაც წარსულის მსოფლიო ომებმა მოუტანეს ადამიანებს. დიდმა ფრანგმა მოაზროვნემ მონტესკიემ ჯერ კიდევ 1720 წელს იწინასწარმეტყველა, რომ შესაძლებელი გახდებოდა ადამიანთა ჟლეტის საშინელი იარაღების გამოგონება, მაგრამ მას დიდად სწამდა ადამიანის მოდგმის სიბრძნე და ამბობდა: „ასეთი საბედისწერო აღმოჩენა რომ მოხდეს, მას მალე აკრძალავდა ადამიანის სამართალი და ხალხთა ერთსულოვანი შეთანხმებით იგი დაიმარხებოდა“. ახლა დადგა დრო, როცა გამოგონილია იარაღი, რომელიც ჰგავს მონტესკიეს მიერ წინასწარმეტყველებს, ეს არის თერმოატომგულის ბომბები და რაკეტები. და ცხოვრება გადაჭრით მოითხოვს, რომ მიღწეულ იქნას ხალხთა მეგობრობა ამ იარაღის აკრძალვის შესახებ.

ხელმძღვანელმა სახელმწიფო და პოლიტიკურმა მოღვაწეებმა, თუ ისინი ნამდვილად ზრუნავენ თავიანთი ხალხების ბედისათვის, ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რათა უზრუნველყონ ხანგრძლივი და მტკიცე მშვიდობა დედამიწაზე. საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა გენერალმა დე გოლმა თავის გამოსვლებში აღნიშნა, რომ ამჟამად, როცა დაისახა მშვიდობა და საერთაშორისო დაძაბულობის გადაჭრით შენელება, საჭიროა ურთიერთგაგება და დაახლოება ხალხებს შორის, მიუხედავად მათი იდეოლოგიური შეხედულებების განსხვავებისა. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ამ აზრებს. მთელი მსოფლიოს, და უწინარეს ყოვლისა ევროპის, მშვიდობის ბედი ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად მტკიცედ იბრძოლებს ორი დიდი სახელმწიფო — საფრანგეთი და სსრ კავშირი — საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის. შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ საფრანგეთი მშვიდობისათვის ხალხთა საერთო ბრძოლაში შეასრულებს იმ როლს, რომელიც შეჰფერის მის დიად წარსულს და დიად მომავალს. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, იგი მზად არის კვლავაც ყოველი ღონე იხმაროს დედამიწაზე მტკიცე მშვიდობის დამკვიდრებისათვის.

საბჭოთა მთავრობამ, როგორც მოგეხსენებათ, გასული წლის შემოდგომაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XIV სესიაზე შეიტანა წინადადება საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ.

უკანასკნელი წლების მანძილზე საბჭოთა კავშირმა ცალმხრივი წესით ფართოდ განახორციელა ცნობილი ღონისძიებანი თავისი შეიარაღებული ძალების მნიშვნელოვანი შემცირებისათვის.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ განიარაღება მთლიანად შეესაბამება აგრეთვე საფრანგეთის სახელმწიფო ინტერესებს, მისი ხალხის მისწრაფებებს. სრული განიარაღება, მთელი ეკონომიკის მშვიდობიან რელსებზე გადაყვანა, ამასთან დაკავშირებით გადასახადების შემცირება ყოველ სახელმწიფოს საშუალებას მისცემდა შორს წაწეულიყო წინ ტექნიკური და კულტურული პროგრესის, სუსტადგანვითარებული ქვეყნებისათვის დახმარების გაწევის გზაზე.

ერთ-ერთი გადაუდებელი საერთაშორისო პრობლემა, რომლის გადაჭრა თანაბრად დიდმნიშვნელოვანია როგორც საფრანგეთისათვის, ისე სსრ კავშირისთვისაც, არის გერმანიის საკითხი. საბჭოთა კავშირს, რომელიც დაინტერესებულია ევროპაში მშვიდობის შენარჩუნებით, არაერთგზის აღუნიშნავს, რომ გერმანიის პრობლემის მოწესრიგების გზაზე დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია საზავო ხელშეკრულების დადება ორივე გერმანულ სახელმწიფოსთან. დროა ბოლო მოეღოს არანორმალურ მდგომარეობას ევროპაში — გერმანიასთან ომის მდგომარეობას.

საბჭოთა მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გერმანიის საკითხს არა იმიტომ, რომ ჩვენ გერმანული მილიტარიზმის გვეშინია. მე არ ვაპირებ დავაშინო ვინმე, მაგრამ მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ჩვენ, თუ საჭირო გახდა, შეგვიძლია ყოველ აგრესორს გავუწიოთ წინააღმდეგობა საკუთარი ძალებით. თუ გერმანიის მილიტარიზმს ვამხილებთ, ამას იმიტომ ვშვრებით, რომ გერმანიის მილიტარიზმს გარკვეულ პირობებში შეუძლია ავანტიურების გზას დაადგეს, ხოლო ამისათვის სულაც არ არის საკმარისი, რომ დიდი ძალა ჰქონდეს. მას აღებული აქვს საერთაშორისო ვითარების გამწვავების გეზი, სადავო და გადაუჭრელი საკითხების მოწესრიგების ჩაშლის გეზი. არ დავმალავ, ჩვენში შეშფოთებას იწვევს ის, რომ შემწყნარებლობას იჩენენ გერმანული მილიტარიზმისადმი, რომელმაც თავი წამოჰყო, მით უმეტეს ის, რომ ხელს უწყობენ მას. იმის დამტკიცების ცდები, რომ ეს უწინდელი მილიტარიზმი არ არის და რომ საფუძველი არა გვაქვს მისი გვეშინოდესო, სერიოზულად ვერ ჩაითვლება. შეიძლება ვინმემ ჩემი სიტყვები მკვახედ მიიჩნიოს, მაგრამ პირდაპირ ვიტყვი: მრავალმა მილიონმა ჩვენმა ადამიანმა იმიტომ როდი დადო თავი მეორე მსოფლიო ომის ბრძოლის ველებზე, რომ არ განვახორციელოთ ღონისძიებანი იმათ წინააღმდეგ, ვინც ახალი ომის გეგმებს ამზადებს. სადაც უნდა ვიყოთ ჩვენ— საფრანგეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში თუ ინგლისში, ამას პირდაპირ და აშკარად ვამბობთ.

ახლანდელ პირობებში დასავლეთ გერმანიის მილიტარიზმის წაქეზების პოზიცია საშიში პოზიციაა. 1870-1871 წლების ომმა, პირველმა და მეორე მსოფლიო ომებმა უდიდესი გაპარტახება მოუტანეს საფრანგეთს. ფრანგებს, ვისი საღი აზრიც ფართოდ არის ცნობილი, უეჭველია, კარგად ესმით, თუ საიდან მოელით მათ ნამდვილი საფრთხე.

გერმანიის მილიტარიზმს რომ მივცეთ შესაძლებლობა აწარმოოს და გამოიყენოს თერმოატომგულისა და რაკეტული იარაღი, ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ ამის საშიში შედეგები. ისტორია გვასწავლის, რომ ზოგიერთ პოლიტიკურ მოღვაწეს გერმანელი მილიტარისტების მიმართ ერთ დროს ძალიან გვიან აეხილა თვალი. დაქვრივებული ქალები საფრანგეთში, პარიზში განსაკუთრებით მწვავედ გრძნობენ ამას!

ძვირფასო პარიზელებო! მთავრობათა მეთაურების თათბირი, რომელიც მაისში უნდა გაიმართოს თქვენს ქალაქში, დასავლეთისა და აღმოსავლეთის სახელმწიფო მოღვაწეთა შეხვედრები

(დასასრული მე-2 გვერდზე).

პარიზელები ნ. ს. ხრუშჩოვის რეზიდენციასთან.

ფოტო „იზვესტიის“ სპეციალური ფოტოკორესპონდენტის ს. სმირნოვისა.

განიარაღება—მშვიდობის საიმედო გზა

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის დასასრული

და საუბრები, რომლებიც უკვე მოხდა, მოწმობენ საერთაშორისო ურთიერთობის ერთგვარ გაუმჯობესებას. „ცივი ომი“ დაძაბულობის შენელებით იცვლება, ზამთარს საერთაშორისო ურთიერთობაში გაზაფხული ცვლის. მაგრამ როგორც თქვენთვის ცნობილია, ადამიანთა ურთიერთობაში ზამთარი გაზაფხულით ავტომატურად როდი იცვლება, როგორც ეს ხდება ბუნებაში და როგორც ამას ახლა ვგრძნობთ პარიზში. ადამიანთა ურთიერთობაში სითბოს თუ სიცივის დაწყება დამოკიდებულია სურვილზე, პისწრაფებაზე — ესა თუ ის ტემპერატურა მიეცეს ამ ურთიერთობას, მოითხოვს სერიოზულ ღონისძიებებს. ხატოვნად რომ ვთქვათ, ერთ ადგილას დგომით ვერ გათბები.

ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ჩვენს ახლანდელ ვიზიტს საფრანგეთში. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შეხვედრის შედეგად ორივე მხარე მნიშვნელოვნად უკეთ გაიგებს ერთმეორის პოზიციებს და მიუახლოვდება გადაუდებელი საერთაშორისო პრობლემების გადაჭრას. როგორც ისტორია გვიჩვენებს, წარსულში ჩვენი ქვეყნების ურთიერთობაში სჭარბობდა მეგობრობისა და თანამშრომლობის ტენდენცია. საფრანგეთისა და რუსეთის კავშირი იმის ძირითადი მიზეზი იყო, რომ გერმანიის მილიტარიზმმა გადამწყვეტი დარტყმა განიცადა პირველ მსოფლიო ომში. ეს მეგობრობა განსაკუთრებით განმტკიცდა მეორე მსოფლიო ომის წლებში, როცა სსრ კავშირი და მეომარი საფრანგეთი მხარდამხარ იბრძოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ.

ჩვენს ფრონტზე მამაცურად იბრძოდნენ ფრანგი მფრინავები. ბევრი მათგანი გმირობისა და მამაცობისათვის დაჯილდოებულ იქნა საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით. აქვე უნდა ითქვას, რომ ერთობლივი ფილმი „ნორმანდია-ნემანი“, რომელსაც პარიზის ეკრანებზე უჩვენებენ და რომელიც ალბათ ბევრმა პარიზელმა უკვე ნახა, კარგად გვიჩვენებს საბჭოთა და ფრანგი ადამიანების მებრძოლი თანამეგობრობის სულისკვეთებას.

მოძრაობა „მეომარი საფრანგეთი“, რომელიც იმ წლებში წარმოიშვა, აღიარა საბჭოთა კავშირმა და მუდამ მხარს უჭერდა მას. ჩვენ დიდად ვაფასებთ რეალიზმის იმ გრძნობას, რომელიც იმ დროს გამოიჩინა ბევრმა ფრანგმა მოღვაწემ და პირადად გენერალმა დე გოლმა, რომლის დამსახურება მეორე მსოფლიო ომის წლებში ცნობილია საბჭოთა ადამიანებისათვის.

თუ წარსულში რესპუბლიკურ საფრანგეთს ჰქონდა კავშირი მეფის რუსეთთან, მით უფრო მეტი საფუძველია იმისათვის, რომ მეგობრული ურთიერთობა ჰქონდეთ საფრანგეთსა და საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირს, რომლის დროშასაც საბჭოთა ხელისუფლების პირველი დღეებიდანვე აწერია სიტყვები: მშვიდობა და მეგობრობა ხალხთა შორის. ჩვენს ქვეყნებს შორის კავშირი გამოწვეულია საერთო ინტერესებით, ჩვენი ქვეყნების გეოგრაფიული მდებარეობით და იმით, რომ საჭიროა დავიცვათ მშვიდობა ევროპაში. საფრანგეთ-რუსეთის კავშირი ყოველთვის ხელს უწყობდა ორივე ქვეყნის უშიშროების გაძლიერებას, ხოლო ამ კავშირის უქონლობას წარსულში არაერთხელ მიუყენებია ზიანი როგორც საბჭოთა კავშირის, ისე საფრანგეთის ეროვნული ინტერესებისათვის.

ჩვენ საფრანგეთთან მეგობრობისა და თანამშრომლობის მომხრენი ვართ, მაგრამ იმას როდი ვაპირებთ, რომ უთანხმოება ჩამოვაგდოთ თქვენს ქვეყანასა და მის მოკავშირეებს შორის. ჩვენ გაგებით ვეკიდებით საფრანგეთის კავშირს შეერთებულ შტატებთან და ინგლისთან. ჩვენ იმის მომხრენი ვართ, რომ ყველა ხალხი ამ ქვეყნად მშვიდობიანად და მეგობრულად ცხოვრობდეს, რადგან არ შეიძლება უზრუნველყოთ მტკიცე მშვიდობა, თუ მეგობრული ურთიერთობა არ იქნება ქვეყნებს შორის და პირველ რიგში ყველა დიდ სახელმწიფოს შორის.

ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ ეს შესაძლებელია, თუ ხალხები აქტიურად მოჰკიდებენ ხელს მშვიდობის უზრუნველყოფას. ცნობილ მოაზროვნესა და მწერალ ანატოლ ფრანსთან ერთად ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ:

„მე მაინც მჯერა მთელი მსოფლიოს მშვიდობიანი მომავალი. ამ ჩემს იმედს საფუძვლად ჩემს ოცნებასა და სურვილს კი არ ვუდებ, არამედ სოციალური მოვლენებისადმი დაკვირვებას და ისტორიული მატერიალიზმის ფაქტებს.

დადგება დღე, როცა დამყარდება საყოველთაო მშვიდობა არა იმიტომ, რომ ადამიანები უკეთესი გახდებიან... არამედ იმიტომ, რომ ახალი ვითარება, ახალი მეცნიერება, ახალი ეკონომიური საჭიროებანი აიძულებენ მათ მშვიდობის მდგომარეობა დაიცვან ისევე, როგორც წინათ მათი არსებობის თვით პირობები ომის მდგომარეობას უქმნიდნენ მათ და აიძულებდნენ მის დაცვას.

თუ ჩვენ განვაგრძობთ ამ დაწყებულ ტენდენციას, შეიძლება წინასწარ გამოვიცნოთ, რომ უფრო ხშირი და სრულყოფილი კონტაქტები დამყარდება ყველა რასასა და ყველა ხალხს შორის“.

დიდი ფრანგის მშვენიერი და მართალი სიტყვებია!

ფრანგ ხალხსა და საბჭოთა ხალხს ყველა შესაძლებლობა აქვთ, რათა ერთად, ერთმანეთის მხარდამხარ აშენონ მშვიდობის მშვენიერი შენობა.

ნება მიბოძეთ, ძვირფასო მეგობრებო, მადლობა გადაგიხადოთ გულითადობისა და ყურადღებისათვის საფრანგეთში ჩემი ვიზიტისადმი, მადლობა გადაგიხადოთ ყურადღებისათვის, რომელიც გამოიჩინეთ ჩემდამი აქ, პარიზის მუნიციპალიტეტში. მინდა მადლობა გადავუხადო პრემიერ-მინისტრს ბატონ დებრეს და მუნიციპალური საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ დევრენს. მე კინაღამ ვთქვი — საბჭოს თავმჯდომარეს. ჩვენ მიჩვეული ვართ ვამბობდეთ ჩვენს ქვეყანაში — მოსკოვის საბჭო, ლენინგრადის საბჭო. მე განსაკუთრებით მომეწონა ის გულთბილობა, რომლითაც ბატონმა დევრენმა მშვენიერ ქალაქ პარიზზე ილაპარაკა. შესაძლებელია, რომ ზოგიერთი კორესპონდენტი, როცა ამაზე დაწერს რამეს, იტყვის, ხრუშჩოვმა სცადა თავს მოეხვია პარიზის მუნიციპალიტეტისათვის თავისი სისტემაო. თქვენ, რა თქმა უნდა, გესმით, რომ ეს სულაც არ არის ასე. პატიცემული მეგობრებო! თქვენ გიყვართ თქვენი პარიზი, თქვენი სამშობლო საფრანგეთი, ამაში დავრწმუნდი თქვენს ქალაქში მოკლე ხანს ყოფნის დროს. მაგრამ მობრძანდით ჩვენთან საბჭოთა კავშირში, ნახეთ მოსკოვი, ლენინგრადი, კიევი, ბაქო და სხვა საბჭოთა ქალაქები, და დაინახავთ, თუ როგორ უყვართ ჩვენს ადამიანებს თავიანთი ქვეყანა, თავიანთი ქალაქები, თავიანთი მშვენიერი დედაქალაქი მოსკოვი, თავიანთი საბჭოთა წყობილება. მე მესმის თქვენი გრძნობები, თქვენც გაიგეთ ჩვენი გრძნობები. საჭიროა, რომ თავიანთი ქალაქებისადმი, თავიანთი ქვეყნისადმი სიყვარულის გრძნობა მტრობას კი არ იწვევდეს ხალხებს შორის, არამედ, პირიქით, ხელს უწყობდეს მათ შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებას. მოდით გავაერთიანოთ ჩვენი ღონისძიებანი მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმეში. თუ საბჭოთა კავშირი, საფრანგეთი და სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოები შეკავშირდებიან მშვიდობისათვის ბრძოლაში, ჩვენ თავიდან ავიცილებთ ომს, ვერავითარი აგრესორი ვერ გაბედავს ხელჰყოს ხალხთა მშვიდობიანი ცხოვრება.

მე მოგიწოდებთ გავაერთიანოთ ღონისძიებანი არა რომელიმე ხალხის ან ქვეყნის წინააღმდეგ, არამედ აგრესიის, მილიტარიზმისა და რევანშიზმის წინააღმდეგ. თუ ზოგი ვინმე ამტკიცებს, რომ ჩემს გამოსვლებში მოვითხოვ გერმანელთა წინააღმდეგ ბრძოლას, ეს სიმართლე არ არის. ჩვენ გვინდა მეგობრობა ყველა ხალხთან, მათ შორის გერმანელებთანაც. მიუხედავად ამისა, არიან ადამიანები, რომლებიც მე მომაწერენ სულელურ მტკიცებას, თითქოს მინდოდეს ფრანგებში მტრობა გამოვიწვიო გერმანელებისადმი. მე ვიბრძვი მილიტარიზმისა და რევანშიზმის საფრთხის წინააღმდეგ. და თუ ვინმე ამას თავის თავზე მიიღებს, მათ შესახებ შეიძლება ვთქვათ — იცის კატამ, ვისი ყველი შეჭამა.

მე ჯერ ბევრ პარიზელთან არ მისაუბრნია, მაგრამ ვგრძნობ, რომ თქვენ, ფრანგები, ყველაზე უკეთ გამიგებთ, როცა ომისა და მილიტარიზმის წინააღმდეგ გამოვდივარ. და ამ გაგებას ის უდევს საფუძვლად, რომ საფრანგეთი ოკუპირებული იყო გერმანელი ფაშისტების მიერ. უკრაინა და საბჭოთა კავშირის ზოგიერთი სხვა ტერიტორია აგრეთვე ოკუპირებული იყო გერმანელი ფაშისტების მიერ. საფრანგეთმაც და საბჭოთა კავშირმაც დიდი მსხვერპლი გაიღეს წარსულ ომში. გუშინ ვიყავი ციხე-სამაგრეში, სადაც დაკრძალული არიან ფრანგი პატრიოტები, რომლებიც ფაშისტებმა დახვრიტეს. თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს საფრანგეთში კი არ ვიყავი, არამედ უკრაინაში, სადაც ფაშისტებმა მილიონობით ადამიანი დაღუპეს. ამას იმიტომ როდი ვიხსენებ, რომ ვინმე გერმანელების წინააღმდეგ ავამხედრო. არამედ იმიტომ, რომ არ დავიწყოთ წარსული ომის გაკვეთილები, რომ არ გამეორდეს წარსულის შეცდომები.

მინდა ერთხელ კიდევ გავუსვა ხაზი იმას, რომ თუ ჩვენი ქვეყნები თავიანთ ღონისძიებებს გააერთიანებენ მშვიდობის დასაცავად, ვერავითარი უგუნური, თუნდაც ჰიტლერივით უგუნური იყოს, ვერ გაბედავს გააჩაღოს ახალი ომი, რადგან ომი ვერავითარ იმედს ვერ მისცემს აგრესორებს. თქვენ, ცხადია, გესმით ჩემი გრძნობები. მე კარგად მესმის თქვენი გრძნობები.

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხისა და ფრანგი ხალხის მეგობრობასა და თანამშრომლობას!

გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!

(ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის დროს არაერთხელ გაისმოდა ხანგრძლივი ტაში).

* * *

დარბაზობა დამთავრდა. ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირები მიდიან დარბაზის გასასვლელისაკენ. ისინი მიდიან ადამიანთა ორ წყებას შუა, რომლებიც ფეხზე ამდგარნი მქუხარე ოვაციას მართავენ. ყოველი მხრიდან გაისმის მისასალმებელი, მეგობრული შეძახილები. ნ. ს. ხრუშჩოვი მადლობას უხდის შეკრებილთ სიმპათიის გამოხატვისათვის. სტუმრები გადადიან ერთ-ერთ დარბაზში, სადაც ნ. ს. ხრუშჩოვსა და მის მეუღლს პარიზის მუნიციპალური საბჭოს სახელით საჩუქრები მიართვეს.

როგორც კი ნ. ს. ხრუშჩოვი კვლავ გამოჩნდა რატუშის გამოსასვლელთან, მრავალი ათასი პარიზელი, რომლებიც მთელი ამ ხნის განმავლობაში მოედანზე და მის ახლომახლო ქუჩებში იყვნენ, ერთიანი აღტაცებით მიესალმა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელს. გაისმის შეძახილები: „მოსკოვი — მეგობრობა“, „მოსკოვი — მშვიდობა“, „მშვიდობა მთელ მსოფლიოში“, „ხრუშჩოვს ვაშა!“.

პოლიცია ძლივს ახერხებს გზა გაუთავისუფლოს საზეიმო კორტეჟს, რომელიც რატუშიდან მიდის სავაჭრო პალატაში, სადაც საბჭოთა მთავრობის მეთაური ნ. ს. ხრუშჩოვი შეხვდა საფრანგეთის საქმიანი წრეების წარმომადგენლებს.

სავაჭრო პალატაში

სავაჭრო პალატაში შეიკრიბნენ ოფიციალური ეკონომიური და ფინანსური ორგანოების ხელმძღვანელები, მრეწველთა მსხვილი გაერთიანებების თავმჯდომარეები, ბანკების დირექტორები. მიიღო რა სიტყვა საბჭოთა სტუმარი, პარიზის სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ დებრიერმა მისასალმებელ სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ საფრანგეთის საქმიანი წრეები დიდი ინტერესით შეხვდნენ ცნობას ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტის შესახებ საფრანგეთში. შეეხო რა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ეკონომიური ურთიერთობის ისტორიას, დებრიერმა აღნიშნა, რომ საფრანგეთის საქმიან წრეებში დიდ ინტერესს იჩენენ ორი ქვეყნის ურთიერთობის განვითარებისადმი. „საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ეკონომიურ ურთიერთობაში, — თქვა მან, — ახლა დაიწყო მნიშვნელოვანი განვითარების პერიოდი. ეს ურთიერთობა სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება, თქვენსა და ჩვენს ორგანიზაციებს შორის დამყარდა კონტაქტები, რომლებსაც დიდი სარგებლობა მოაქვთ. დებრიერმა მხარი დაუჭირა მომავალში ორი ქვეყნის ეკონომიური ურთიერთობის შემდგომ გაფართოებას. მე მინდა, რომ ამ ჩვენმა შეხვედრამ, თქვა მან, ხელი შეუწყოს გაცვლის განვითარებას საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის!

დამსწრეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს საბჭოთა მთავრობის მეთაურის სიტყვა.

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

ბატონო თავმჯდომარეო!

ბატონებო!

ნება მიბოძეთ უწინარეს ყოვლისა მადლობა გადაგიხადოთ თქვენ, პატივცემულო ბატონო დებრიერ, გულითადი სიტყვებისათვის, რომლებიც თქვენ წარმოთქვით, ყველა აქ დამსწრეს იმისათვის, რომ შესაძლებლობა მომეცით შევხვედროდი საფრანგეთის საქმიან ადამიანებს და მესაუბრნა მათთან.

მე ვიცი, რომ თქვენ, ბატონებო, იმ წრეებს ეკუთვნით, რომლებიც სერიოზულ გავლენას ახდენენ თქვენი ქვეყნის პოლიტიკაზე. ამიტომ ჩვენს შეხვედრაზე მინდა შევეხო არა მარტო წმინდა ეკონომიურ, არამედ აგრეთვე ზოგიერთ ზოგადპოლიტიკურ პრობლემას.

ნება მიბოძეთ ჩვენი საუბარი დავიწყო ზოგიერთი საერთაშორისო პრობლემის შესახებ საბჭოთა მთავრობის თვალსაზრისის გაშუქებით და გამოვთქვა ჩემი მოსაზრებანი საერთოდ სხვადასხვა სისტემის სახელმწიფოთა და კერძოდ, საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ურთიერთობის განვითარების საკითხებზე.

საბჭოთა საგარეო პოლიტიკას საფუძვლად უდევს სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი. ჩვენ ვცდილობდით და ვცდილობთ განვავითაროთ ყველა ქვეყანასთან მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობა, თანამშრომლობა, რომელსაც საფუძვლად დაედება ურთიერთსარგებლობა და სასარგებლო იქნება მშვიდობის საქმისათვის.

მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის მთავარი პრინციპები მოგვცა საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელმა ვლადიმერ ილიასძე ლენინმა. ლენინმა გადაჭრით გამოაცხადა მშვიდობისმოყვარეობის პოლიტიკა და ყოველთვის ხაზს უსვამდა იმას, რომ საჭიროა და უდიდესი მნიშვნელობა აქვს მშვიდობიან სამეურნეო ურთიერთობას საბჭოთა რუსეთსა და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის. „...შეიძლება ვიდავოთ, — ამბობდა ლენინი, — შეიძლება ვიჩხუბოთ, შეიძლება ვერ შევთანხმდეთ სხვადასხვა კომბინაციაში — ფრიად დასაჯერებელიც კია, რომ ზოგჯერ ვერ შევთანხმდებით, — ხოლო მაინც, ბოლოს და ბოლოს, ეს ძირითადი სამეურნეო საჭიროება თვითონ გაიკაფავს გზას“.

ჩვენ განუხრელად ვახორციელებთ და კვლავაც განვახორციელებთ საბჭოთა სახელმწიფოს დიდი ფუძემდებლის პოლიტიკას.

მშვიდობიანი თანაარსებობა ჩვენს დროში მარტო პოლიტიკური დოქტრინა, მარტო ერთი სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის საგარეოპოლიტიკური პროგრამა კი აღარ არის. მსოფლიოს ახლანდელი ძალთა თანაფარდობისა და იმ დონის პირობებში, რომელსაც ახლა სამხედრო ტექნიკამ მიაღწია, მშვიდობიანი თანაარსებობა რეალური ფაქტი და ამასთანავე მწვავე საჭიროება გახდა ყველა სახელმწიფოსათვის, თუ, რა თქმა უნდა, შეგნებულად არ შეეურიგდებით იმას, რომ მსოფლიო ატომური ომის უფსკრულში გადავჩეხოთ კაცობრიობა.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, მას არა აქვს რაიმე საომარი ზრახვა და გეგმები, არ აპირებს დაიწყოს ომი ვინმეს წინააღმდეგ, მას არ ესაჭიროება სხვისი ტერიტორიები, სხვისი სიმდიდრე და ბუნებრივი რესურსები. ჩვენი სოციალისტური წყობილებისათვის უცხოა დაპყრობითი ომები, რაიმე აგრესიული განზრახვა. საბჭოთა კავშირს მოეპოვება აურაცხელი ბუნებრივი სიმდიდრე. ეს სიმდიდრე ეკუთვნის ნიჭიერ და შრომისმოყვარე ხალხს, რომელიც დიდი ენთუზიაზმით ახმარს მთელ თავის შემოქმედებითს ენერგიას მშვიდობიანი და ბედნიერი ცხოვრების მშენებლობას. თქვენ ალბათ მოგეხსენებათ, თუ რა დიდ წარმატებებს მიაღწია უკვე ჩვენმა ქვეყანამ.

საბჭოთა ადამიანების მთელი ფიქრები ახლა მიპყრობილია 1959-65 წლების დიდი სახალხოსამეურნეო გეგმის შესრულებისადმი. ჩვენი შვიდწლიანი გეგმა ითვალისწინებს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ახალ ძლავრ ზრდას, მოსახლეობის მრავალფეროვან მოთხოვნილებათა უფრო სრულ დაკმაყოფილებას, ხალხის კეთილდღეობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

უფრო ნათელი წარმოდგენა რომ იქონიოთ ჩვენი სამეურნეო მშენებლობის გაქანებაზე, მოვიყვან ზოგიერთ მონაცემს.

ჩვენი შვიდწლიანი გეგმით დასახულია გადიდდეს ფოლადის წარმოება 1958 წლის 55 მილიონი ტონიდან 91 მილიონ ტონამდე 1965 წელს, ნავთობის ამოღება შესაბამისად 113 მილიონიდან 240 მილიონ ტონამდე, ელექტროენერგიის გამომუშავება 235 მილიარდი კილოვატსაათიდან 520 მილიარდამდე, ცემენტის წარმოება 33 მილიონი ტონიდან 81 მილიონ ტონამდე. მანქანებისა და მოწყობილობის წარმოება გაიზრდება ერთიორად, ქიმიური მრეწველობის პროდუქცია — ერთიასამად. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი გეგმის სისტემატურად გადაჭარბებით სრულდება, შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ საბჭოთა კავშირის მთელი სამრეწველო პროდუქცია შვიდწლედის მანძილზე სულ ცოტა ერთიორად გაიზრდება.

ჩვენ დიდი წარმატებები მოვიპოვეთ სოფლის მეურნეობის განვითარებაში. მარცვლეულის წარმოება უკანასკნელ ექვს წელიწადში ერთხახევარჯერ და მეტად გადიდდა. მკვეთრად გაიზარდა მეცხოველეობის სასაქონლო პროდუქციის წარმოება. უკანასკნელ ექვს წელიწადში ხორცის შესყიდვა გადიდდა ორჯერ და მეტად, რძისა — თითქმის ორნახევარჯერ. უკანასკნელ ორ წელიწადში საბჭოთა კავშირმა უკვე გაუსწრო ამერიკის შეერთებულ შტატებს რძის საერთო წარმოების მხრივ, ხოლო შარშან ამერიკის შეერთებულ შტატებს გაუსწრო აგრეთვე ერთ სულ მოსახლეზე კარაქის წარმოების მხრივ. შვიდწლიანი გეგმა სოფლის მეურნეობის დარგში ითვალისწინებს მეცხოველეობის უმნიშვნელოვანესი პროდუქტების წარმოების დაახლოებით ორჯერ გადიდებას.

სახალხო მოხმარების საქონლის — კვების პროდუქტების, ქსოვილების, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის სამრეწველო წარმოება დასახულია გადიდდეს მთლიანად შვიდწლედში 65 პროცენტით.

თქვენთვის ალბათ საინტერესო იქნება შეიტყოთ ჩვენს ქვეყანაში საბინაო მშენებლობის მასშტაბი. შვიდწლედის მანძილზე ქალაქებსა და მუშათა დაბებში აშენდება დაახლოებით 15 მილიონი კეთილმოწყობილი ბინა, ხოლო სოფლად — შვიდი მილიონი საცხოვრებელი სახლი.

ჩვენი ქვეყნის ეროვნული შემოსავალი შვიდ წელიწადში დაახლოებით 65 პროცენტით გაიზრდება. მუშა-მოსამსახურეთა შემოსავალი და კოლმეურნეთა შემოსავალი, მომუშავეთა რიცხვის მნიშვნელოვან გადიდებასთან ერთად, 40 პროცენტით და მეტად გაიზრდება. მიმდინარე წელს მთავრდება ყველა მუშისა და მოსამსახურის შვიდი და ექვსი საათის სამუშაო დღეზე გადაყვანა, ხოლო 1964 წლიდან ჩვენ გადავალთ ექვსი და ხუთი საათის სამუშაო დღეზე.

შვიდწლიანი გეგმის შესრულების შედეგად საბჭოთა კავშირი ერთ სულ მოსახლეზე სამრეწველო პროდუქციის წარმოების მხრივ პირველ ადგილს დაიკავებს ევროპაში და უშუალოდ მიუახლოვდება ამერიკის შეერთებული შტატების წარმოების განვითარების დონეს. ამავე დროისათვის ჩვენ გადავაჭარბებთ სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი პროდუქტების მთლიანად და ერთ სულ მოსახლეზე წარმოების თანამედროვე დონეს ამერიკის შეერთებულ შტატებში. შვიდწლიანი გეგმის შესრულების შემდეგ ჩვენ დაგვჭირდება სულ ხუთიოდე წელი ან იქნება ნაკლებიც, რომ დავეწიოთ და გავუსწროთ შეერთებულ შტატებს პროდუქციის წარმოების არა მარტო აბსოლუტური მოცულობის მხრივ. არამედ ერთ სულ მოსახლეზე წარმოების მხრივაც. რაც შეეხება მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი მეცნიერები, რომლებმაც ბრწყინვალე წარმატებები მოიპოვეს თანამგზავრის, მთვარის რაკეტებისა და ბალისტიკური რაკეტების შექმნაში, გაგვახარებენ იმით, რომ ზოგ რამეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანს შექმნიან.

ასეთია საერთოდ ჩვენი შვიდწლედი, ასეთია პერსპექტივები შვიდობიანი განვითარებისა, რომელსაც ვახმართ ჩვენს ენერგიას, ჩვენს გონებას, ჩვენს ძალებს.

შვიდწლიანი გეგმის შესრულება გადამწყვეტი ნაბიჯი იქნება საბჭოთა კავშირში კომუნისტური საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში. ეს ძალიან დიდი ამოცანაა. თქვენ შეგიძლიათ არ დაეთანხმოთ ჩვენს საზოგადოებრივ შეხედულებებსა და იდეალებს, მაგრამ როგორც ეკონომიურ საკითხებში გამოცდილი ადამიანები, ადვილად მიხვდებით, რომ ყველა მოქალაქისათვის პრაქტიკულად განხორციელება პრინციპისა „თითეულისაგან უნარის მიხედვით, თითეულს მოთხოვნილების მიხედვით“, — ხოლო სწორედ ეს არის კომუნისტური საზოგადოების ძირითადი პრინციპი, — მოითხოვს მატერიალური დოვლათის ნამდვილ სიუხვეს, ისევე როგორც მოქალაქეთა შეგნებულობის მაღალ დონეს. სწორედ ამ ამოცანების გადაჭრისათვის, რომელთა მიზანია როგორც ადამიანის ცხოვრების მატერიალური პირობების გაუმჯობესება, ისე მის სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, შრომობს ამჟამად მთელი საბჭოთა ხალხი.

1959 წელს სამრეწველო პროდუქციის გამოშვება საბჭოთა კავშირში გადიდდა 11 პროცენტზე მეტით გეგმით გათვალისწინებული 7,7 პროცენტის ნაცვლად. 1959 წელს გეგმის წარმატებით შესრულებამ საშუალება მოგვცა 1960 წლისათვის დაგვეწესებინა წარმოების ზრდის უფრო მაღალი ეკონომიური მაჩვენებლები, ვიდრე შვიდწლიანი გეგმით იყო გათვალისწინებული. შვიდწლედის მეორე წელს ჩვენი მრეწველობის საერთო პროდუქცია ახალი დავალებების შესაბამისად უნდა გადიდდეს 8,1 პროცენტით. მიმდინარე წლის პირველი ორი თვის განმავლობაში საგეგმო დავალებანი შესრულებულია სამი პროცენტის გადაჭარბებით.

ეს იმას მოწმობს, რომ შვიდწლედის ციფრები რეალურია, რომ შვიდწლიანი გეგმა არათუ მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შესრულდება.

საბჭოთა კავშირის შვიდწლიანი გეგმა მშვიდობიანი ცხოვრების მშენებლობის გეგმაა.

მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფა საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის მთავარი მიზანია. და ჩვენ ვამაყობთ, რომ ეს მიზანი შეესაბამება ჩვენი პლანეტის ყველა ხალხის საჭიროებებსა და მისწრაფებებს.

მაგრამ შეიძლება თუ არა მტკიცე და საიმედო იყოს მშვიდობა, როცა გრძელდება და სულ უფრო ძლიერდება კოლონიალური გამალებული შეიარაღება, როცა ევროპისა და სხვა კონტინენტების ტერიტორია დაფარულია სამხედრო ბაზებით, როცა ჰაერში დაფრინავენ ატომური და წყალბადის ბომბებით დატვირთული თვითმფრინავები და მომართულია საბრძოლო ატომური რაკეტები? ცხადია, რომ ასეთ პირობებში მშვიდობა საიმედოდ ვერ ჩაითვლება. იგი უფრო წაგავს ნაზ ფაიფურის ვაზას, რომელიც შეიძლება დაიმსხვრეს ოდნავი შერყევისაგან. მაგრამ თუ ეს ვაზა დაიმსხვრა, დაიღვრება მრავალი მილიონი ადამიანის სისხლი. ამჟამად მდგომარეობა ისეთია, რომ, უაღრესად გულწრფელადაც რომ სურდეთ მთავრობებს მშვიდობის შენარჩუნება, აცილებრიობა შეიძლება გახდეს შემთხვევის. რამდენიმე ადამიანის შეცდომის ან უგუნურების აქტის მსხვერპლი. განა შეიძლება შევურიგდეთ ასეთ მდგომარეობას?

საბჭოთა მთავრობას შიქმნა მტკიცე რწმენა, რომ ასეთ მდგომარეობას აღარ შეიძლება შეურიგდეთ, რომ საჭიროა მიეღოთ, სანამ ძალიან გვიან არ არის, გადამწყვეტი ღონისძიებანი, რომლებიც აცილებრიობის იხსნა ატომური ომის საფრთხისაგან.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განსახილველად ჩვენ შევიტანეთ წინადადება საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ. მოკლე ვადაში მტკიცე საერთაშორისო კონტროლის პირობებში, მა ხაზს ვუსვამ — მტკიცე საერთაშორისო კონტროლის პირობებში, რასაც ჩვენ სავსებით ვეთანხმებით, — ყოველგვარი იარაღის მოსპობა, ყველა არმიის, მთელი შეიარაღებული ძალების გაუქმება, გარდა პოლიციისა, რომელიც პატიოსან ადამიანებს იცავს ქურდებისა და არამზადებისაგან — აი ყველაზე საიმედო გზა მტკიცე მშვიდობისაკენ.

როგორც მოგეხსენებათ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მოიწონა ყველა სახელმწიფოს სრული განიარაღების იდეა. საბჭოთა კავშირის წინადადებებს ძლიერ ხელს დაუჭერენ მბარი ყველა ქვეყნის ხალხებმა, და ჩვენ ყოველნაირად ვეცდებით დაიღოს საერთაშორისო შეთანხმება ასეთი განიარაღების შესახებ კოლექტიური კონტროლის პირობებში და პრაქტიკულად განხორციელდეს. ეგი. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს საკითხები რეალური ამოცანაა, რომელის განხორციელებაც შეიძლება, და დარწმუნებული ვართ, რომ მი გადაჭრას ხელს შეუწყობენ ყველა სახელმწიფოს მთავრობები და მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანი.

განიარაღების პრობლემას დიდი მნიშვნელობა აქვს თვითეულ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის. არ შეიძლება არ დაინახოთ ის, რომ სამხედრო მრეველობაში პირდაპირ ან არაპირდაპირ დასაქმებულია მრავალ მილიონი ადამიანი ყველა ქვეყანაში. საყოველთაო განიარაღება მოსწავებს სამხედრო წარმოების სრულ ლიკვიდაციას, საწარმოთა გადაყვანას სამოქალაქო პროდუქციის გამოშვებაზე, არა მარტო ი ადამიანების გადაყვანას მშვიდობიან შრომაზე, რომლებიც სამხედრო ქარხნებში მუშაობენ, არამედ აგრეთვე მილიონობით ჯარისკაცისა, რომლებიც ახლა თოფქვედგანან.

ყველა ეს პრობლემა საკმაოდ რთულია, მაგრამ მათი გადაჭრა საკმაოდ სავსებით შესაძლებელია. ასეთი პრობლემები, ამასთან მნიშვნელოვნად უფრო დიდი მასშტაბებით, ხომ უკვე წამოიჭრა ყველა სახელმწიფოს წინაშე მეორე მსოფლიო ომის დამთავრების მეორე დღეს, და მაინც მაშინ ათობით მილიონი ადამიანი დემობილიზებულ იქნა, სამხედრო ეკონომიკა მშვიდობიან რელსებზე გადავიდა. და განა ამას ვინმე ნანობს? რატომ არ შეიძლება ახლა გადაწყვეტილ იქნას ისეთივე პრობლემები, რომლებიც კვლავ წარმოიშვნენ „ცივი ომისა“ და გამალებული შეიარაღების შედეგად?

ჩვენში, საბჭოთა კავშირში, ეს პრობლემები შეიძლება გადაწყდეს და კიდევაც წყდება უფრო ორგანიზებულად და უფრო სწრაფად მეურნეობის გეგმიანი ხელმძღვანელობის გამო ისე, რომ მშრომელებს ზიანი არ მოუვიდეთ, და მთლიანად ჩვენი ქვეყნის ინტერესებისათვის. და, რაც ყველაზე მთავარია, ჩვენში არ არიან არც საზოგადოებრივი ჯგუფები, არც ცალკეული პირები, რომელთაც თავისთვის ხელსაყრელად მიიჩნევდეთ სამხედრო წარმოების შენარჩუნება და ეწინააღმდეგებოდნენ მის გადაყვანას მშვიდობიან რელსებზე.

რა თქმა უნდა, მდგომარეობა კაპიტალისტურ ქვეყნებში განირჩევა მდგომარეობისაგან ჩვენს ქვეყანაში, და აქ ეკონომიკის გარდაქმნა წარმოებს სიძნელეებით.

ჩვენს დროში ხომ საქმე ისეა, რომ ომის დაწყების შემთხვევაში, რომლის საფრთხე გამალებული შეიარაღების შედეგად დღითიდღე იზრდება, უთუოდ დაიღუპებოდნენ არა მარტო ყველა ზემოგება და მისი მომცემი საწარმოები, არამედ ამ საწარმოთა მფლობელებიც. წყალბადის ბომბები არ განასხვავებენ ადამიანებს ქონებრივი ცენზის ან სოციალური მდგომარეობის მიხედვით.

(დასასრული მე-3 გვერდზე)

ნ. ს. ხრუშჩოვმა დაათვალიერა ვ. ი. ლენინის ბინა

პარიზი, 25 მარტი. (საკადესის სპეც. კორ.). ათასობით პარიზელი ელოდა დღეს დილით მარი-როზის ქუჩასა და ახლო-მახლო ქუჩებში ნ. ს. ხრუშჩოვის მოსვლას. ხელში მათ ეჭირათ პატარა წითელი და სამფერა ალმები, პლაკატები ლოზუნგებით „მშვიდობა!“, „გაუმარჯოს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობ

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის დასასრული

არა მგონია, ბატონებო, რომ ჩემმა სიტყვებმა ვისმე შეუქმნას შთაბეჭდილება, რომ მე საქმიანი ადამიანები, დასავლეთის ქვეყნების სამრეწველო-ფინანსური სამყაროს ყველა წარმომადგენელი ბიმბაჩნია განიარაღების მტრად. ეს სულაც არა მქონია მხედველობაში და ასეთი შავბნელ აზრებს არ ვიზიარებ. დასავლეთის საქმიანი სამყაროს წარმომადგენელთა შორის ცოტა როდია გავლენიანი შორსმჭვრეტელი მოღვაწე, რომლებსაც კარგად ესმით განიარაღების საქმიანობაც და მისი განხორციელების შესაძლებლობაც ახლანდელ პირობებში.

როგორც, უეჭველია, მოგეხსენებათ, საბჭოთა კავშირი უკვე ახლა არ დაელოდა საერთაშორისო შეთანხმებას განიარაღების შესახებ და შეუდგა თავისი შეიარაღებული ძალების ახალ მნიშვნელოვან შემცირებას ცალმხრივი წესით. ჩვენ მათ ვამცირებთ მესამედით, შინ ვუშვებთ 1 მილიონ 200 ათას ჯარისკაცს.

ვისმეზე თავდასხმას, სხვისი მიწების მიტაცებას ჩვენ არ ვაპირებდით და არ ვაპირებთ. ჰოდა, ჩვენი მშვიდობიანი ეკონომიკის განვითარებისათვის ასეთი ცალმხრივი თაოსნობა განიარაღების დარგში ბევრ კარგ რამეს მოგვცემს: 16-17 მილიარდ მანეთ ეკონომიას წელიწადში. გარდა ამისა, მილიონზე მეტი ახალგაზრდა, ენერგიული, უნარიანი მუშაკი მივა სამუშაოდ მინდვრებში, ქარხნებში, ელექტროსადგურებში, მშენებლობებზე. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, კეთილნაყოფიერ გავლენას მოახდენს ხალხის ცხოვრების დონის შემდგომ ამაღლებაზე.

ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებულნი, — სხვა დიდი სახელმწიფოები თავიანთი სამხედრო ბიუჯეტების გადიდების ნაცვლად სსრ კავშირის ინიციატივას რომ გამოეხმაურებოდნენ, მიბაძავდნენ ჩვენს მაგალითს, ეს გაათმჯობესებს საერთაშორისო ვითარებას, ხოლო სრული განიარაღების შესახებ შეთანხმების მიღწევა მნიშვნელოვნად გაადვილდება. ეს თავის მხრივ შეამსუბუქებს მოსახლეობის მდგომარეობას, რომელიც ამჟამად გრძნობს გამალებული შეიარაღების მძიმე ტვირთს.

ახლა მინდა შევეხო უშუალოდ საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობის საკითხებს. პირდაპირ გეტყვით, ბატონებო: საბჭოთა მთავრობა საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის მჭიდრო მეგობრობისა და თანამშრომლობის მტკიცე მომხრეა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის კარგი ურთიერთობა შეესაბამება ორივე ქვეყნის ხალხთა ისტორიულ ტრადიციებსა და სურვილს, შეესაბამება ჩვენი სახელმწიფოების როგორც ეროვნულ ინტერესებს, ისე ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საერთო საქმეს. იმედს გამოვთქვამთ, რომ საფრანგეთის ხელმძღვანელები იზიარებენ ამ ჩვენს რწმენას.

ჩვენი სახელმწიფოების კარგ ურთიერთობას, რომელსაც საფუძვლები ჩაეყარა შორეულ წარსულში, იწვევენ დიდმნიშვნელოვანი, მუდმივმოქმედი ფაქტორები. უკვე მალე ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ საფრანგეთის ყველაზე შორსმჭვრეტელი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები მიხვდნენ, რომ არის ბევრი მიზეზი, რომლებიც გვიკარნახებენ საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის დაახლოების აუცილებლობას, მიუხედავად ჩვენი ქვეყნების სოციალური სისტემების განსხვავებისა.

საფრანგეთი და სსრ კავშირი ორი დიდი სახელმწიფოა ევროპის კონტინენტზე, და ეს უკვე ბევრ რამეს მეტყველებს. საფრანგეთს, ისევე როგორც საბჭოთა კავშირს, არა აქვს საფუძველი მტრობისა და კონფლიქტებისათვის. ეს აზრი უკვე გამოვთქვი და არ შემხვედრია ადამიანი, რომელიც ამას არ ეთანხმებოდეს. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის წლებში საფრანგეთისა და რუსეთის კავშირმა დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა გერმანიის მილიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. უფრო გვიან, საფრანგეთის მაშინდელ მთავრობას რომ უკეთ გაეგო გერმანიის აგრესიის საფრთხე, შეიძლებოდა თავიდან აგვეცილებინა მეორე მსოფლიო ომის ბევრი მძიმე შედეგი და არც კი დაგვეშვა თვით ომი.

უკანასკნელ წლებში საბჭოთა მთავრობას ბევრჯერ აღუნიშნავს გერმანიის მილიტარიზმისა და რევანშიზმის აღორძინების საფრთხე, ევროპის მშვიდობიანი ცხოვრებისათვის პირდაპირი მუქარა. ჩვენ არაერთგზის განგვიცხადებია, რომ პარიზის შეთანხმებანი ვერ შეუშლიან ხელს ბუნდესვერის შეიარაღებას ატომგულის იარაღით. ახლა დასავლეთი გერმანია იწყებს თავისი სამხედრო ბაზების მშენებლობას ესპანეთის ტერიტორიაზე. ჩვენ მტკიცედ ვილაშქრებთ ამის წინააღმდეგ, უფრო მეტიც, პროტესტს ვაცხადებთ ამის წინააღმდეგ. გვინდა ვიქონიოთ იმედი, რომ საფრანგეთი და ფრანგები გაგვიგებენ. გერმანელი რევანშისტები კვლავ ოცნებობენ სამხედრო ლაშქრობაზე ძველი გზებით.

ჩვენ ვერ დავივიწყებთ, ბატონებო, რომ ჩვენი ქვეყნების, ევროპის ყველა ხალხის უშიშროების საკითხი ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი ორი სახელმწიფოს შეთანხმებულ მოქმედებაზე. ჩვენ უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, რაც საჭიროა, რათა ბოლო მოვუღოთ მეორე მსოფლიო ომის ნაშთებს და თავიდან ავიცილოთ რევანშისტული ტენდენციების საფრთხე, რომლებიც დასავლეთ გერმანიაში გამოჩნდნენ.

ნება მიბოძეთ აგრეთვე გამოვთქვა ზოგიერთი მოსაზრება საერთაშორისო ვაჭრობის საკითხზე.

თუ სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა საჭიროა, — ამ საკითხში კი, იმედი მაქვს, ჩვენს შორის უთანხმოება არ არსებობს, — განა ჩვენ ყველამ აქედან არ უნდა გამოვიტანოთ სათანადო დასკვნები და შევეცადოთ მშვიდობიანი თანაარსებობიდან მივიღოთ მაქსიმალური ურთიერთსარგებლობა ჩვენი ქვეყნების ხალხებისათვის. ვფიქრობ, რომ ეს იქნებოდა არა მარტო ლოგიკური, არამედ ერთადერთი გონივრული მოქმედება.

არის ასეთი ანდაზა, —„უხეირო მშვიდობიანობა სჯობს კეთილ აშლილობას“. ეს, რასაკვირველია, სწორია, მაგრამ, ჩემი აზრით, საკმარისი როდია. კარგი მშვიდობიანობა ბევრად უკეთესია, ვიდრე ცუდი მშვიდობიანობა, და ორიენტაცია სწორედ პირველზე უნდა ავიღოთ. უნდა ვესწრაფოდეთ იმას, რომ მშვიდობიანი თანაარსებობა იყოს არა მარტო ომის უქონლობა, არამედ ყველა სახელმწიფოს აქტიური თანამშრომლობა ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერების დარგში. რა თქმა უნდა, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ექნება სახელმწიფოთა ფართო ეკონომიურ ურთიერთობას.

„ცივი ომის“ და გაკოტრებული „ძალის პოზიციის პოლიტიკის“ პერიოდმა მსოფლიოს მემკვიდრეობად დაუტოვა დაჟანგებული ჯაჭვი ხელოვნურ შეზღუდვათა სახით, რომელნიც ბოჭავენ სოციალისტურ სამყაროსთან დასავლეთის ქვეყნების ვაჭრობის თავისუფალ განვითარებას.

საბჭოთა კავშირი ემხრობა ყველა ქვეყანასთან საგარეო-სავაჭრო ურთიერთობის გაფართოებას. საკმარისია ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობა 1959 წელს ომამდელ პერიოდთან შედარებით რვანახევარჯერ გადიდდა. სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის ბრუნვა მარტო 1959 წელს 25 პროცენტით გადიდდა წინა წელთან შედარებით. წარმატებით ვითარდება სსრ კავშირის სავაჭრო ურთიერთობა ინგლისთან, იტალიასთან, ფინეთთან, დასავლეთ გერმანიასთან და ევროპის სხვა ქვეყნებთან. საბჭოთა კავშირი ახლა ვაჭრობს მსოფლიოს სამოცდაათზე მეტ ქვეყანასთან.

ჩვენ ვვარაუდობთ ჩვენი ეკონომიური ურთიერთობის შემდგომ განვითარებას და მტკიცედ გვწამს, რომ ვაჭრობა სხვადასხვა ქვეყანას შორის შეესაბამება მათს ეკონომიურ ინტერესებს და მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი საიმედო გზაა. სულ უფრო მეტი ხდება იმ ქვეყნების რიცხვი, რომლებიც უკუაგდებენ დისკრიმინაციისა და ბოიკოტის პოლიტიკას, რომელიც თვითონ მათთვის არის მავნე, და სულ უფრო მეტი ხალისით აფართოებენ სავაჭრო ურთიერთობას ჩვენთან, ხოლო ვაჭრობის საქმეში, როგორც კომერსანტები ამბობენ, ის მოიგებს, ვინც მეტ ფხიანობას, სისწრაფესა და ინიციატივას გამოიჩენს.

რაც შეეხება იმ ხელოვნურ ბარიერებს, რომლებსაც ჯერ კიდევ ინარჩუნებენ დასავლეთის ცალკეული სახელმწიფოები, ისინი მხოლოდ ემჯნიან შესაძლებლობას სერიოზულად განავითაროონ ხელსაყრელი ვაჭრობა სოციალისტურ ქვეყნებთან, რომელთა მოსახლეობა კაცობრიობის მესამედზე მეტს შეადგენს. თქვენ ადვილად გამოიანგარიშებთ, თუ რა ზიანს აყენებს დასავლეთის ქვეყნებს საერთაშორისო ვაჭრობაში დისკრიმინაციის პოლიტიკა, რომელმაც ყოველგვარი აზრი დაკარგა.

თქვენმა თანამემამულემ ედგარ ფორმა საკმაოდ მოსწრებულად და სწორად დაახასიათა დისკრიმინაციის პოლიტიკა. „ჩვენ რუსეთს არ მივეცით ავტოკალმისტარები, — თქვა მან, — მან კი თანამგზავრები შექმნა. სავაჭრო შეზღუდვები ლიკვიდირებულ უნდა იქნას. სიები ათეულ ფურცელზე, რომლებშიც ჩამოთვლილია აკრძალული საქონელი, უაზრობაა“. ჩვენ ამას სავსებით ვეთანხმებით.

ამჟამად, როგორც ცნობილია, ევროპის კაპიტალისტური ქვეყნების ბაზარი, ისედაც შემცირებული სოციალისტურ ქვეყნებთან ვაჭრობის ყბადაღებული შეზღუდვის გამო, გაყოფილია სახელმწიფოების განკერძოებულ გაერთიანებათა სხვადასხვა ზონად. ეს სრულიადაც არ უწყობს ხელს სხვადასხვა ქვეყნებს შორის ნორმალური სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას. კარდახშული ეკონომიური დაჯგუფებანი ხშირად იწვევენ პოლიტიკურ განკერძოებას და სხვადასხვაგვარ გართულებას სახელმწიფოთა ურთიერთობაში. რა თქმა უნდა, ყოველ სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფს შეუძლია დადოს ეკონომიური შეთანხმებანი, მაგრამ არ შეიძლება გონივრულად მივიჩნიოთ, თუ ეს შეთანხმებანი მიზნად ისახავენ ბრძოლას სხვა ქვეყნების წინააღმდეგ. სწორედ ამიტომ საბჭოთა კავშირი იყო და არის მომხრე ეკონომიური თანამშრომლობისა მთელი ევროპის, მთელი მსოფლიოს საფუძველზე.

პატივცემულო ბატონებო! ჩვენ საფრანგეთთან ვაჭრობის ფართო განვითარების მტკიცე მომხრე ვართ. ამ ბოლო ექვს წელიწადში საქონელბრუნვა საფრანგეთსა და სსრ კავშირს შორის ხუთჯერ და მეტად გადიდდა. მაგრამ, რა თქმა უნდა, არის ჯერ კიდევ მეტად ბევრი გამოუყენებელი შესაძლებლობა ვაჭრობის განვითარებისათვის.

ჩვენ დიდად ვაფასებთ საფრანგეთის მრეწველობას და დაინტერესებული ვართ მისი ბევრი სახეობის პროდუქციით. უკვე ახლა ჩვენ საფრანგეთიდან შეგვიძვს ბევრი სხვადასხვა მოწყობილობა — ლითონდასამუშავებელი ჩარხები, მეტალურგიული, ქიმიური, კვების, მსუბუქი, ცემენტის მრეწველობისა და მთელი რიგი სხვა დარგების მოწყობილობა; მილები, კაბელი, შავი ლითონების ნაგლინი. მაგრამ ჩვენი შესყიდვების ასორტიმენტი და მოცულობა შესაძლებელია არსებითად გაფართოვდეს.

ჩვენ შევიძინეთ თქვენში აგრეთვე მოწყობილობა შაქრის ქარხნებისათვის, საფეიქრო და ტრიკოტაჟის მრეწველობის საწარმოებისათვის. საბჭოთა სპეციალისტები და მუშები დიდად აფასებენ საფრანგეთში შეძენილი სხვადასხვა მოწყობილობის ტექნიკურ დონეს.

ჩვენს ქვეყანაში ვითარდება არა მარტო მძიმე ინდუსტრია, არამედ სახალხო მოხმარების საქონლის მწარმოებელი მრეწველობაც. ჩვენში, მაგალითად, დიდი ყურადღება ეთმობა საფეიქრო მრეწველობის განვითარებას, რომლის მოწყობილობა მნიშვნელოვანწილად გამოცვლას მოითხოვს. საფრანგეთს აქვს დიდადგანვითარებული მანქანათმშენებლობა საფეიქრო და ტრიკოტაჟის მრეწველობისათვის, და მას შეეძლო მიეღო საბჭოთა კავშირის ბევრი შეკვეთა ახალ მოწყობილობაზე. იგივე შეიძლება ითქვას პოლიგრაფიულ მოწყობილობებზეც. შეიძლებოდა აგრეთვე შეკვეთები მოხმარების საქონელზეც.

უნდა ვიფიქროთ, რომ საფრანგეთის საქმიანი წრეების ტრადიციული თაოსნობა საშუალებას მისცემს მათ საბჭოთა კავშირთან ვაჭრობაში არ ჩამორჩნენ თავიანთ კოლეგებს სხვა ქვეყნებში. დიდმნიშვნელოვანი წინაპირობაა, რომ ორივე მხარისათვის ხელსაყრელი იყოს გარიგებანი და აღმოიფხვრას ყველა დაბრკოლება ჩვენი ვაჭრობის განვითარების გზაზე.

საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციებმა კარგი კონტაქტები დაამყარეს და გაცხოველებული ურთიერთობა აქვთ ისეთ ფრანგულ ფირმებთან, როგორიც არიან „რენო“, „ფიველილ-კაი“, „პიკი“, „შნეიდერ-კრეზო“, „ელექტრობის საყოველთაო კომპანია“, „უმავთულო ტელეგრაფის კომპანია“, „პეშენე“ და სხვები. თავის მხრივ, საფრანგეთი საბჭოთა კავშირში იძენს ბევრ საქონელს, რომელიც სჭირდება თავისი სახალხო მეურნეობისათვის, მათ შორის — დიდძალ ნავთობსა და ნავთობპროდუქტებს, ანტრაციტს, ქვანახშირის სქელფისს, აზბესტს, ხე-ტყის მასალებს, მანგანუმისა და ქრომის მადანს და სხვა საქონელს. მაგრამ, ვიმედოვნებ, არ მიწყენთ, ბატონებო, თუ ვიტყვი, რომ თქვენ ჯერ კიდევ ნაკლებად იცნობთ და ნაკლებად სწავლობთ ჩვენს საბჭოურ ბაზარს, საბჭოთა კავშირში სხვადასხვა სახეობის საქონლის შესყიდვის შესაძლებლობას.

თუ ვილაპარაკებთ ჩვენი ქვეყნის სამრეწველო წარმოების მოცულობაზე, დღევანდელი საბჭოთა კავშირი ორმოცი რევოლუციამდელი რუსეთია. ჩვენი ქვეყნის შესაძლებლობანი ახლა განუზომლად უფრო დიდია, ვიდრე წინათ იყო. დიდია არა მარტო მზა პროდუქციის თვალსაზრისით, არამედ სხვადასხვა სახეობის ნედლეულის არსებობის თვალსაზრისითაც. უნდა შევისწავლოთ და შეგვეძლოს გამოვიყენოთ ვაჭრობის განვითარებისათვის ეს ხელსაყრელი პირობები. მაგალითად, ჩვენ შეგვეძლო საფუძვლიანად დაგვეტვირთა შეკვეთებით თქვენი მანქანათმშენებლობა და გემთმშენებლობა. მაგრამ ეს შესაძლებელი გახდება, თუ თქვენც გაადიდებთ სხვადასხვა საქონლის შესყიდვას საბჭოთა კავშირში.

საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის 1957-1959 წლების სავაჭრო შეთანხმება, როგორც ცნობილია, წარმატებით შესრულდა. ახლა ჩვენ საფრანგეთთან დადებული გვაქვს მეორე სავაჭრო შეთანხმება სამი წლის ვადით, მაგრამ არის ყველა შესაძლებლობა, და ამას პირდაპირ გეუბნებით, რომ დავდოთ უფრო ფართო შეთანხმება უფრო ხანგრძლივი ვადით, მაგალითად, ხუთი წლით, საქონელბრუნვის ოდენობა კი შეიძლებოდა გაზრდილიყო სულ ცოტა ერთიორად.

მთელი საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებაში დიდი როლი შეიძლება შეასრულოს სავაჭრო ურთიერთობის განვითარებამ ეკონომიური თვალსაზრისით სუსტადგანვითარებულ ქვეყნებთან. იმ სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც განთავისუფლდებოდა გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და შეიარაღების შემცირების შედეგად, ან კიდევ უკეთესი — სრული განიარაღების შედეგად, შეიძლება გამოყოფილიყო იმ მიზნით, რომ დახმარება გაეწიოს ეკონომიურად სუსტადგანვითარებულ ქვეყნებს.

იმათთვის, ვინც ამტკიცებს, რომ შეიარაღების შემცირება და განიარაღება გამოიწვევდა მრეწველობის შეკვეთების უქონლობასა და უმუშევრობას, შეიძლებოდა გვეთქვა, რომ სუსტადგანვითარებული ქვეყნებისადმი ეკონომიური დახმარებისა და ვაჭრობის განვითარების შედეგად გაიხსნებოდა ჭეშმარიტად თვალუწვდენი ბაზრები და ახალი უდიდესი შესაძლებლობანი დიდად განვითარებული ქვეყნების სამრეწველო წარმოებისათვის და, რასაკვირველია, ეს თვალსაჩინო როლს შეასრულებდა მათი ურთიერთობის ნორმალიზაციისა და გაჯანსაღებისათვის.

ყოველივე ეს, ბატონებო, რა თქმა უნდა, მხოლოდ ცალკეული აზრებია, რომლებიც ოდნავაც ვერ ამოწურავენ იმას, რაც შეგვიძლია განვახორციელოთ ნორმალური საერთაშორისო თანამშრომლობის დამყარებისათვის, ჩვენი ორი ქვეყნის სავაჭრო და სხვაგვარი ეკონომიური ურთიერთობის გაფართოებისათვის, საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის სტაბილური და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის მოგვარებისათვის.

ნება მიბოძეთ იმედი გამოვთქვა, რომ საფრანგეთის საქმიანი წრეები ჯეროვან ინტერესს გამოიჩენენ ამ საკითხებისადმი, რაც უშუალო ეკონომიურ სარგებლობას მოიტანს და ჩვენი სახელმწიფოების დიადი ეროვნული ინტერესების, საყოველთაო მშვიდობის ინტერესების შესაბამისი იქნება.

გმადლობთ ყურადღებისათვის!

(ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვას დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ. სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ნ. ს. ხრუშჩოვს სიტყვისათვის).

* * *

სავაჭრო პალატიდან ნ. ს. ხრუშჩოვი დაბრუნდა თავის რეზიდენციაში, სადაც 20 საათსა და 00 წუთზე ადგილობრივი დროით სადილი გამართა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის შარლ დე გოლის პატივსაცემად.

ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი ნიუ-იორკის სკოლის მოსწავლეებისადმი

ჰეილ ბარტლის
ჯონ ფილიპ სუზის
საშუალო სკოლა

ბეიჩსტერ ავენიუ, 8750 ბრონქსი, ნიუ-იორკ სიტი, ნიუ-იორკი.

ძვირფასო ამერიკელო მოსწავლეებო!

თქვენმა წერილმა ძლიერ მასიამოვნა. გმადლობთ თქვენი მისალმებისათვის და ჩემი მხრივ გისურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებას სწავლაში და ბედნიერებას ცხოვრებაში.

თქვენ მატყობინებთ, რომ თქვენს სკოლაში სწავლობს დაახლოებით ორი ათასი კაცი, სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების გოგონები და ბიჭუნები. იმედი მაქვს, რომ ეს ხელს არ გიშლით ერთად ისწავლოთ მეგობრულად, მხიარულად ითამაშოთ და იმეროთ კარგი სამეზერები. მინდა გაცნობოთ, რომ ჩვენს ქვეყანაში საამურად და ბედნიერად ცხოვრობენ და ერთად შრომობენ მრავალი ეროვნების ადამიანები. მათ აერთიანებს საერთო მისწრაფება იცხოვრონ მშვიდობით და მეგობრობით დედამიწის ყველა ხალხთან.

ჩვენი ქვეყანა — საბჭოთა კავშირი ყველაფერს აკეთებს, რაც მასზეა დამოკიდებული, რათა მთელი მსოფლიოს ბავშვები ცხოვრობდნენ, იზრდებოდნენ, სწავლობდნენ და თამაშობდნენ, ხოლო მთელი დედამიწის ადამიანებს შეეძლოთ მშვიდად იშრომონ და არ იფიქრონ ახალი ომის საფრთხეზე, არ აშინებდეთ თქვენი მომავალი.

გისურვებთ თქვენ, ისევე როგორც ამერიკის მთელ მოზარდ თაობას, მხოლოდ ისტორიის სახელმძღვანელოებიდან შეიტყოთ, რა არის ომი და არასდროს არ ნახოთ იგი საკუთარი თვალით.

ერთხელ კიდევ გისურვებთ ბედნიერებას, ბევრ, ბევრ ჯარს.

ნ. ხრუშჩოვი.

1960 წლის 17 მარტი.

გამოხმაურება ნ. ს. ხრუშჩოვის წერილზე ამერიკელი მოსწავლეებისადმი

ნიუ-იორკი, 24 მარტი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის საპასუხო წერილმა ბრონქსის (ნიუ-იორკის რაიონი) ერთ-ერთი საშუალო სკოლის მოსწავლის ჰეილ ბარტლისადმი სასკოლო წელიწდეულის „სუზი ბლუ ენდ გრეისათვის“, რომელშიც საბჭოთა მთავრობის მეთაური მიმართავს ამერიკელ მოსწავლეებს, ადგილობრივი პრესის დიდი ინტერესი გამოიწვია. ნიუ-იორკის ყველა გაზეთმა დაბეჭდა ნ. ს. ხრუშჩოვის წერილის შინაარსი და ჰეილ ბარტლის ფოტოსურათი და დაწერილებით აღწერა ეს არაჩვეულებრივი მიწერ-მოწერა. გაზეთებმა „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნმა“ და „დეილი ნიუსმა“ გამოაქვეყნეს ნ. ს. ხრუშჩოვის წერილის სრული ტექსტი.

ნიუ-იორკი, 24 მარტი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის საგანგებო ინფორმაციით:

14 წლის ჰეილ ბარტლი ყველაზე გაოცებული გოგონაა ნიუ-იორკში.

მან მიიღო 200-სიტყვიანი წერილი საბჭოთა პრემიერის ნიკიტა ხრუშჩოვისაგან, რომელიც მას და მის ორი ათას ამხანაგს სკოლაში უსურვებს „ჯანმრთელობას, წარმატებას სწავლაში და ბედნიერებას ცხოვრებაში“.

ბრაშან დეკემბერში ბრონქსის 142-ე საშუალო სკოლის სასკოლო წელიწდეულის რედაქტორებმა შეადგინეს სია ცნობილი ადამიანებისა, რომელთა მისალმება მათ სურდათ გამოექვეყნებინათ.

ხრუშჩოვის გარდა, ამ სიაში იყვნენ პრეზიდენტი ეიზენჰაუერი, ინგლისის პრემიერ-მინისტრი მაკმილანი, ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ნერუ, ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენ-ჰურიონი, ნიუ-იორკის გუბერნატორი ნელსონ ა. როკფელერი და დ-რი ალბერტ შვეიცერი.

ჰეილი სამ დღეს მოუნდა წერილის შედგენას და მიაჩნდა, რომ პასუხს მიიღებდა უკანასკნელ რიგში, თუ საერთოდ მიიღებდა მას.

„გოცებული ვარ, — ამბობს ჰეილი. —თუ კი მე მოველოდი პასუხს, შესაძლოა, მისი კანცელარიისაგან, მაგრამ არა უშუალოდ მისგან. მე ჯერ კიდევ მგონია, რომ ყველაფერი ეს ჩემს გარშემო როდი მოხდა“.

ჯერჯერობით ხრუშჩოვი ერთადერთი კაცია, რომელმაც პირადი პასუხი გაუგზავნა.

საქართველოს პროფკავშირთა X ყრილობა

ორ დღეს მუშაობდა საქართველოს პროფკავშირთა X ყრილობა. მოსმა მონაწილეებმა შეაჯამეს შედეგები რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობისა საანგარიშო პერიოდში, აღნიშნეს მათ საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებანი, შეიტანეს წინადადებანი ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, მთელი პროფკავშირული მუშაობის დონის შემდგომ ასამაღლებლად და ილაპარაკეს მორიგ ამოცანებზე, რომლებიც დაკავშირებულია კომუნისტური პარტიის დიდ წინასწარდასახულობათა წარმატებით განხორციელებასთან.

აფხაზეთის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ **ნ. ი. ჯახუაძ**ემ ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ რაზმავენ პროფკავშირული ორგანიზაციები მშრომელებს შეიდწლიანი გეგმის დავალებათა შესრულებისათვის საბრძოლველად. მონაწილეობენ რა საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში, აფხაზეთის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა საერთო პროდუქციის წარმოების გეგმა 103,5 პროცენტით შეასრულეს. შვიდწლედის ფონდში შეტანილია დაახლოებით 17 მილიონ მანეთი. აფხაზეთის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის ვალდებულებანი და თავიანთ წვლილი შეიტანეს საქართველოს მშრომელთა საერთო ბრძოლაში ჩაის წარმოების გადიდებისათვის.

ამბ. ჯახუა ამბობს, რომ შრომითი წარმატებანი უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ ყველა საწარმო ასრულებდეს გეგმებს. იმ საწარმოთა შორის, რომლებმაც ვერ შეასრულეს 1959 წლის საწარმოო დავალებანი, არის ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტი, საერთო-სამშენებლო ტრესტი № 6, გუდაუთისა და დრანდის ჩაის ფაბრიკები, კოდორის სატყეო მრეწველობის მეურნეობა. ჩამორჩენა გამოწვეული იყო შრომის სუსტი ორგანიზაციით, იმით, რომ არ იყო ჯეროვანი ხელმძღვანელობა შეჯიბრებადამი სამეურნეო მუშაკებისა და პროფკავშირული კომიტეტების მხრივ.

ყრილობამ დიდი ყურადღებით მოისმინა ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელის **შ. ვ. კუბლაშვილის** გამოსვლა. მან სახელი გაითქვა წარჩინებულ დონეცელ მეშახტე ნ. მამაისთან შეჯიბრებით. რამდენიმე ხნის წინათ ამხ. კუბლაშვილი გადავიდა ჩამორჩენილ ბრიგადაში და გამოიყვანა იგი მოწინავეთა რიგებში. ბრიგადის ყოველი წევრი ახლა ყოველდღიურად გეგმის გადამეტებით იღებს ორ ტონა და მეტ ქვანახშირს.

პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული ტყიბულელი მეშახტეები განუწყვეტლივ ზრდიან სათბობის ამოღებას. შარშან მათ გეგმის გადამეტებით ამოიღეს რამდენიმე ათეული ათასი ტონა ქვანახშირი. წარმატებით სრულდება მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა.

თავისი მუშაობის გამოცდილებაზე, ამხანაგების წარმატებებზე ილაპარაკა თბილისის სართავ-სატრიოტაჟო კომბინატის მოწინავე მუშამ ამიმხვევმა **მ. ი ბუჩკინამ**. ოცდათვრამეტი ბრიგადა ეჯიბრება ერთმანეთს აქ კომუნისტური შრომის კოლექტივების წოდებისათვის. ამხანაგები ხუბავილის, ტემენისტოვას, ღუბჩენკოს, ჩუბილოვას მრთველთა ბრიგადებს უკვე მიეკუთვნათ ეს საპატიო წოდება.

„მთავართბილისმშენის“ რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა **დ. ა. ბოჭორიშვილმა** ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ იბრძვის საწარმოს კოლექტივი სამანაო მშენებლობაში ინდუსტრიული მეთოდების დანერგვისათვის. მან ყურადღება მიაქცია იმას, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს მშენებელთა მუშაობის პირობები, მოწესრიგდეს სახოგადოებრივი კვების საქმე, გაიაზლოს მშენებელთა შორის აღმზრდელობითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობა. ყველაფერი ეს პროფკავშირული ორგანიზაციის ჯიდაბარი საქმეა. იგი ყოველდღიურად უნდა ზრუნავდეს თბილისის მშენებელთა მრავალრიცხოვანი რაზმის საჭიროებებისათვის.

სიტყვას ამბობს აჭარის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარე **მ. გ. ეკიზაშვილი**, აჭარის პროფკავშირული ორგანიზაციების საქმიანობა საანგარიშო პერიოდში, აღნიშნავს იგი, განუყრელად დაკავშირებული იყო ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა ბრძოლასთან სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მაღალი მაჩვენებლების მიღწევისათვის. სამრეწველო საწარმოებმა საერთო პროდუქციის გამოშვების 1959 წლის გეგმა 102,2 პროცენტით შეასრულეს. მოკრეფილია და სახელმწიფოს ჩაბარდა 23.651 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი და 427 მილიონი ციტრუსოვანთა ნაყოფი. მიღწეული წარმატებებისათვის მთელ რიგ საწარმოებსა და საბჭოთა მეურნეობებს მიეკუთვნათ გარდამავალი წითელი დროშები და ფულადი პრემიები.

ახალი კარგი ნაყოფი მოაქვს აჭარის მშრომელთა შეჯიბრებას ჩვენი ქვეყნის მოძმე რესპუბლიკების მშრომელებთან. ბათუმის წარმოების მუშაკები ეჯიბრებიან ხერსონისა და კიროვაკანის წარმოების მუშაკებს.

სიტყვა ეძლევა ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარეს **ა. კ. სურგულაძეს**. იგი ამბობს, რომ პროფკავშირები განუყოფლად უჭერენ მხარს კომუნისტური პარტიის ბრძნულ ლენინურ პოლიტიკას, ყველა მის ღონისძიებას. საქართველოს მეტალურგები მხურვალედ მიესალმებიან ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მეგობრობისა და მშვიდობის მისიას საფრანგეთში.

ამხ. სურგულაძემ ილაპარაკა მეტალურგთა თავდადებულ შრომაზე, რომელიც შვიდწლედის მეორე წლის პირველი დღეებიდანვე გადაჭარბებით ასრულებენ საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმას. პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები რაზმავენ საწარმოს კოლექტივს გეგმის განუხრელად შესრულებისათვის, ტექნიკური პროგრესისათვის, შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელი გადიდებისათვის, ეკონომიკისა მომჭირნეობისათვის, მთელი რეზერვებისა და შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენებისათვის საბრძოლველად, რათა სწრაფად გაიზარდოს წარმოება.

ტრიბუნაზეა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი **ნ. ვ. ანთელავა**. თავისი სიტყვა მან მიუძღვნა ჯანმრთელობის დაცვის საკითხებს. ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი ამაღლებას, სამკურნალო დაწესებულებათა ფართო ქსელის შექმნას, მედიცინის მეცნიერების წარმატებით განვითარების შედეგად, ამბობს იგი, მიღწეულია მოსახლეობის ჯანმრთელობის განმტკიცება. საბჭოთა ადამიანებისათვის პარტიისა და მთავრობის ზრუნვის ახალი მკაფიო გამოვლინებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ამას წინათ მიღებული დადგენილება „სსრ კავშირის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებისა და ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ყოველდღიური კონტროლი უნდა გაუწიონ ამ დადგენილების შესრულებას.

იმაზე, თუ როგორ ჩაუდგნენ სათავეში პროფკავშირული ორგანიზაციები სოციალისტურ შეჯიბრებას საბჭოთა მეურ-

(დას

პარიზი. დიდი ბულვარები. სენ-დენის შესასვლელი.

ფოტო ფრანს პრესისა.

ა. ნ. კოსიგინი ესაუბრა გაუმგარტნერს

პარიზი, 25 მარტი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ნ. კოსიგინი დღეს შეხვდა საფრანგეთის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს ბ-ნ ბაუმგარტნერს საერთო ეკონომიურ საკითხთა განსახილველად.

საუბარს დაესწრნენ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ბ-ნი კლაპე, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საგარეო ფინანსთა დეპარტამენტის უფროსი ბ-ნი სადრენე, ბ-ნი ესტევა (ბ-ნ ბაუმგარტნერის კაბინეტიდან) და სსრ კავშირის წარმომადგენელი საფრანგეთში ვ. პ. დაშკევიჩი.

საუბარი ურთიერთგაგების სულისკვეთებით მიმდინარეობდა.

ნ. პ. ხრუშჩოვა პარიზის ლიცეუმს ეწვია

პარიზი, 24 მარტი. (საკდესი). დღეს დილით ნინო პეტრეს ასული ხრუშჩოვა ქალბატონ ჟოკესის თანხლებით ეწვია საფრანგეთის დედაქალაქის VIII ოლქის ერთ-ერთ სასწავლებელს — კლოდ მონეს სახელობის ლიცეუმს.

იმის ამბავი, რომ ამ ლიცეუმში მალე მოვიდოდა ნ. პ. ხრუშჩოვა, სწრაფად გავრცელდა უახლოეს უბნებში. ლიცეუმის შენობასთან, წვიმის მიუხედავად, დაახლოებით ათასი პარიზელი ქალი შეიკრიბა. მათ ხელში ეჭირათ საფრანგეთისა და საბჭოთა პატარა ალმები. ნ. პ. ხრუშჩოვას და მის თანმხლებ პირთა გამოჩენას შეხვდნენ მხურვალე შეძახილებით „ვაშა!“, „გაუმარჯოს ნინოს“, „გაუმარჯოს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას!“. ნინო პეტრეს ასული გულთბილად მიესალმა შეკრებილთ, შემდეგ კი წავიდა ლიცეუმის შენობაში, რომელიც მორთულია საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის სახელმწიფო ალმებით. ლიცეუმის მოსწავლეები საპატიო საბჭოთა სტუმარს ბავშვური ხალისიანი ზეიმით შეხვდნენ.

„მეგობრობისა და ერთობის ჯერ მივდივართ მშვიდობიანად“

საფრანგეთის მშვიდობის მომხრეთა წერილები

ამ დღეებში საბჭოთა ადამიანების მთელი ყურადღება მიპყრობილია საფრანგეთისადმი, სადაც სახელმწიფო ვიზიტით იმყოფება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი. მათ გულწრფელად ახარებთ მხურვალე და მეგობრული მიღება, რომელიც საფრანგეთის საზოგადოებრიობამ გაუმართა დიდი საბჭოთა ხალხის წარმომადგენელს. ფრანგების დიდ ინტერესს ამ ვიზიტისადმი, იმას, თუ რა დიდ იმედებს ამყარებენ ისინი მშვიდობისა და მეგობრობის მისიაზე, მოწმობს საფრანგეთის მშვიდობის მომხრეთა ადგილობრივი კომიტეტების წერილები, რომლებიც მიღებულია საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის სახელზე.

„ფრანგების უმრავლესობას ბ-ნი ხრუშჩოვის ჩამოსვლა საფრანგეთში მიაჩნია ფაქტორად, რომელიც დიდად შეუწყობს ხელს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, მიაჩნია, რომ ეს არის „ცივი ომის“ მნიშვნელოვანი უკან დახევა, რის გამო ყველა მშვიდობისმომხრე დიდი ენთუზიაზმით და მოუთმენლად მოელის მას“, — ნათქვამია სენისა და ლუარის დეპარტამენტის მშვიდობისათვის მოძრაობის ბიუროს წერილში.

„ჩვენი ხალხი ხრუშჩოვისა და დე გოლის შეხვედრაზე ამყარებს დიდ იმედს და მოელის, რომ იგი ხელს შეუწყობს ნაყოფიერ თანამშრომლობას მშვიდობისა და ჩვენი ქვეყნების მეგობრობისათვის, — ნათქვამია ბეშ დიო რონის დეპარტამენტის მშვიდობისათვის მოძრაობის საბჭოს წერილში. — ნ. ს. ხრუშჩოვი იქნება ჩვენი ქალაქის — მარსელის სტუმარი. ჩვენი ოლქის მშვიდობის მეგობრებს ახარებთ ეს და გულითად შეხვედრას უმზადებენ მას, მიაჩნიათ რა, რომ ნ. ს. ხრუშჩოვი დაუღალავი მებრძოლია მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, რომ იგი წარმომადგენელია ის ხალხისა, რომელმაც ესოდენ ბევრი გააკეთა საერთო ბრძოლაში გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ.

ფრანგი მეგობრები წინადადებას იძლევიან დავამყაროთ კონტაქტები ორიეკ ქვეყნის მშვიდობის მომხრეებს შორის. ისინი გვთავაზობენ ერთმანეთს დავუკავშიროთ ქალაქები და ცალკეული უბნები, ქარხნები და სკოლები, ოჯახები და მშვიდობისათვის ცალკეული მებრძოლნი. „მეგობრობის გზით ჩვენ მივდივართ მშვიდობისაკენ“, — ნათქვამია წერილში (საქდესი).

საქართველოს პროფკავშირთა X ყრილობა

(დასასრული)

ნეობების, სარემონტო-ტექნიკური სადგურების, დამამზადებელი ორგანიზაციების მშრომელთა შორის, ილაპარაკა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ **ს. რ. კალანდაძემ**. ილაპარაკა რა არსებულ ნაკლოვანებებზე, მან აღნიშნა გონიოს, სალიბაურის, ნარეჯის საბჭოთა მეურნეობების ჩამორჩენა, რომლებმაც გასულ წელს ვერ შეასრულეს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის გეგმა. აქ არადამაკმაყოფილებლად არის მოწყობილი შეჯიბრება, სუსტად ინერგება შრომის პროგრესული მეთოდები.

— ახორციელებს რა კომუნისტური პარტიის XX და XXI ყრილობების გადაწყვეტილებებს, — თქვა ქეთაისის საავტომობილო ქარხნის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ **ი. პ. გოგოლაშვილმა**, — საწარმოს პროფკავშირულმა ორგანიზაციამ გამოაცოცხლა მუშაობა, უფრო აქტიურად მონაწილეობს სამეურნეო და კულტურულ საქმიანობაში. ამან გავლენა იქონია ქარხნის კოლექტივის წარმატებებზე. კოლექტივი გამოვიდა მომჭირნეობისათვის, ყაირათიანობისათვის, უყაირათობისა და მფლანგველობის წინააღმდეგ შეჯიბრების ინიციატორად. აეტომაქარხნელებმა ვალდებულება იკისრეს 1959 წელს შვიდწლიანის რესპუბლიკურ ფონდში შეეტანათ 7 მილიონი მანეთი, ხოლო შეიტანეს 8.776 ათასი მანეთი.

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სრულიად საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს მუშაობა ყრილობის მონაწილეებს გააცნო საბჭოს თავმჯდომარემ **ნ. ს. მეტრეველმა.**

საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის **ძ. ბ. ღვინჯილიას** გამოსვლაში აღნიშნული იყო გარკვეული წარმატებანი რესპუბლიკის ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების განვითარებაში, აგრეთვე არსებითი ნაკლოვანებანი ამ საქმეში. მომხმარებელთა გაზრდილი მოთხოვნილება ჯერ კიდევ მთლიანად ვერ კმაყოფილდება. ეს იმის შედეგია, რომ საკმაოდ კარგად არ არის ორგანიზებული ვაჭრობა და დამაკმაყოფილებლად ვერ მუშაობს საქართველოს მრეწველობის ზოგიერთი დარგი. სავაჭრო ორგანიზაციები სუსტ ზემოქმედებას ახდენენ საწარმოებზე, რათა მათ გაიფართოონ სახალხო მოხმარების საქონლის ასორტიმენტი და გაუმჯობესონ მისი ხარისხი.

პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უფრო ფართოდ უნდა გამალონ აღმზრდელობითი და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა ვაჭრობის მუშაკთა შორის, მიაღწიონ საბჭოთა ვაჭრობის კულტურის განუწყვეტელ ამაღლებას, ჩაბაბნ ფართო საზოგადოებრიობა ვაჭრობის წესების დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

იმაზე, თუ როგორ აჩაღებენ შეჯიბრებას პროფკავშირული ორგანიზაციები, როგორ ცდილობენ მიაღწიონ იმას, რომ შეჯიბრებაში მონაწილეობდეს ყოველი მუშა, ყოველი ინჟინერი და ტექნიკოსი, ილაპარაკა სამხრეთ ოსეთის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ **ს. ვ. ჯიოევმა.**

საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა რესპუბლიკური გაგებობის თავმჯდომარემ **გ. პ. ზედგენიძემ** ილაპარაკა საზოგადოებათა მრავალმხრივი მოღვაწეობის შესახებ. საზოგადოებებში შედის 738 პირველადი ორგანიზაცია, რომელთა წევრების საერთო რიცხვია 25 ათასი. ეწყობა ლექციები, სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციები, კონკურსები საუკეთესო ნაშრომებზე ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დარგში. იცემა შრომები და ბროშურები მოწინავე გამოცდილების ურთიერთგაზიარების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ნ. გ. გომელაურმა** თავის გამოსვლაში გააშუქა მუშაობა, რომელიც წარმოებს მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, პარტიის XXI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, მოიყვანა ფაქტები და მაგალითები, რომლებიც ახასიათებენ წარმოების მუშაკთა თავდადებულ ბრძოლას შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

საქართველოს კავშირგაბმულობის მუშაკთა, ავტატრანსპორტისა და გზატაცელების მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ **ვ. დ. ღოღობერიძემ.** საქართველოს კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ **ს. ა. მიქელაძემ** ილაპარაკეს პროფკავშირული ორგანიზაციების მრავალმხრივ მოღვაწეობაზე, რომელთა მეცადინეობა მიმართულია შვიდწლიანი გეგმის შესრულებისაკენ.

სიტყვა ეძლევა საკავშირო პროფსაბჭოს მდივანს **ტ. ნ. ნიკოლაევას.** პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს დავალებით იგი მხურვალედ მიესალმა საქართველოს პროფესიულ კავშირთა X ყრილობის დელეგატებსა და სტუმრებს. თქვენი სახით, ამბობს ამხ. ნიკოლაევა, მე გულითადად მიეესალმები რესპუბლიკის ყველა მშრომელს და ჩვენი ქვეყნის პროფკავშირთა სახელით დიდ მადლობას ვუძღვნი მათ თავდადებული შრომისა და დიდი წვლილისათვის კომუნიზმის აშენების საერთო საქმეში.

ამხ. ნიკოლაევამ აღნიშნა დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა, რომელსაც საქართველოს პროფკავშირები ეწევიან, რაზმავენ რა რესპუბლიკის მშრომელებს მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის. რესპუბლიკის პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა თავიანთ შემდგომ მუშაობაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ აღმზრდელობითი მუშაობის ხელმძღვანელობის ძირეულად გაუმჯობესებას.

ამავე დროს ჩვენი მუშაკების ერთ ნაწილს, ამბობს ამხ. ნიკოლაევა, ვიწროდ ესმის აღმზრდელობითი მუშაობის პრაქტიკული ამოცანები, ისინი ხშირად კმაყოფილდებიან მეკულტურეობით, მატერიული თვითმოქმედებით. საქმე არა მარტო ის არის, რომ ავარდოთ ადამიანები ანტისაზოგადოებრივ საქციელს ან მოვაწყოთ მათი დასვენება, მთავარია აღვზარდოთ ადამიანის შეგნება, ვიცოდეთ მისი ბაწყობილება, აზრი, მოთხოვნები, ინტერესები.

ადამიანებთან აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების ამოცანები გვავალებენ კიდევ უფრო ავამაღლოთ პროფკავშირული კადრებისა და აქტივის დონე, მუშაკების იდეური გამოწრთობა, რათა ისინი მდგომარეობის სიმაღლეზე იყვნენ, გახდნენ მასების უნარიანი ორგანიზატორები.

პროფკავშირული ორგანოები მოწოდებული არიან აკონტროლებენ ყოველდღიურად იზრუნონ მშრომელთა სულ უფრო მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. სამტია ჩვენგან მოითხოვს, რომ ადამიანისათვის ზრუნვა იყოს საფუძველთა საფუძველი პროფკავშირების მთელ მოღვაწეობაში.

ყამთში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე: თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათამაშებენელო ქარხნის ზეინკალმა **დ. შ. რუხაძემ**, ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოება „ბურევესტნიკი“ საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ **ბ. ს. პაიჭაძემ**, ქარხკომის თავმჯდომარემ **ი. ე. ვადოვმა**, რუსთავის ცემენტის ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა **რ. ნ. ჭიჭინაძემ**, ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთსამმართველოს ამწეზედმა **ბ. ტ. კილაძემ**, გეკითია ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშამ **პ. გ. კილასონიამ.**

ყრილობაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. პ. მეჟავნაძემ.**

დღეს, თქვა მან, როცა სკკპ XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული საბჭოთა ხალხი უდიდესი ენთუზიაზმით ახორციელებს პარტიის მიერ დასახულ გრანდიოზულ ამოცანებს, განსაკუთრებით იზრდება პროფკავშირების როლი და ადგილი კომუნისტურ მშენებლობაში. ლენინის გენიალურ თეზისს „პროფკავშირები კომუნიზმის სკოლაა“ ახლა კიდევ უფრო მეტი აზრი ენიჭება.

საქართველოს პროფკავშირები ორგანიზაციულად განმტკიცებული, კომუნისტური პარტიის გარშემო მჭიდროდ დარაზმული მოვიდნენ თავიანთ X ყრილობაზე. სასიხარულოა, რომ ყრილობამ ჩაიარა საქმიან ვითარებაში, პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით.

წარმატებები, რომლებზეც აქ ლაპარაკობდნენ, მეცნიერების განვითარებაში დიდი მიღწევების, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ტექნიკური გაუმჯობესების, წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის შემდგომი განვითარების, ჩვენი ხალხის გაზრდილი შრომითი აქტივობის შედეგია.

ვ. პ. მეჟავნაძე შეეხო მრეწველობის, სოფლის მეურნეობის მიღწევებს, აღნიშნა ცხოვრების დონის განუხრელი ამაღლება ჩვენს ქვეყანაში. სიხარულსა და კანონიერ სიამაყეს, თქვა მან, უნერგავს გულში საბჭოთა ადამიანებს შვიდწლედის პირველი წლის შედეგები. ეს შედეგები მკაფიოდ ადასტურებს, რომ ჩვენს ხალხს, ჩვენს პარტიას აქვთ ერთი მიზანი — მშვიდობიანი განვითარება კომუნიზმის გამარჯვებისაკენ მიმავალ გზაზე.

საბჭოთა ხალხის შესანიშნავი გამარჯვებანი მოპოვებულია კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის დაუცხრომელი პოლიტიკური და ორგანიზატორული მოღვაწეობის მეოხებით.

შემდეგ ვ. პ. მეჟავნაძე აღნიშნავს, რომ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამლილი მშენებლობის პერიოდში განუზომლად გაიზარდა საბჭოთა პროფკავშირების როლი. გახსაზღვრავდა რა პროფკავშირების, მნიშვნელობასა და როლს სოციალისტურ სახელმწიფოში, ვ. ი. ლენინი წერდა, რომ პროფკავშირები „არის აღმზრდელობითი ორგანიზაცია, ჩაბმის, სწავლების ორგანიზაცია, ეს არის სკოლა, მართვა-გამგეობის სკოლა, მეურნეობის გაძღოლის სკოლა, კომუნიზმის სკოლა“

მუშათა და მოსამსახურეთა მილიონიანი მასების აღზრდასა და სწავლებაში. მათი შემოქმედებითი ძალების მობილიზაციაში წარმოების აღორძინებისა და სრულყოფისათვის საბრძოლველად, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებაში დიდი როლი უნდა შეასრულონ საბჭოთა პროფკავშირებმა.

სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში პროფკავშირთა როლის გადიდებისათვის ჩვენი პარტიის მიერ ამ უკანასკნელ წლებში მიღებულმა ღონისძიებებმა ყველა პირობა შექმნეს იმისათვის, რომ პროფკავშირები წარმატებით ახორციელებდნენ თავს ამ უმნიშვნელოვანეს ამოცანებს.

პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით უფრო შეწყობილად იწყეს მუშაობა სამეურნეო და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, უკეთ ხორცესხმა ყოველდღიური გაკვლევა ქარხნების, ფაბრიკებისა და მშენებლობათა საქმიანობის ყველა მხარეზე.

პროფკავშირების ყურადღების ცენტრში იყო რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომი განვითარების, წარმოების აღორძინების საკითხები. საქართველოს პროფსაბჭო ახლა გაიკლებთ უკეთ ეხმარება ხელმძღვანელობს პროფკავშირთა საფაბრიკო-საქარხნო, ადგილობრივ და რესპუბლიკურ კომიტეტებს და წარმართავს მათს ღონისძიებებს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების დადგენილებათა შესრულებისათვის.

გამოსვლაში დახასიათებული იყო პროფსაბჭოს, ძირეული პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობა, რომლებიც მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან სოციალისტური შეჯიბრების გაძლისათვის, რასაც ფართო გაკანება მიეცა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

ვ. პ. მეჟავნაძემ აღნიშნა ნაკლოვანებები, რომლებიც არის პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს, საფაბრიკო-საქარხნო, ადგილობრივი და რესპუბლიკური კომიტეტების მუშაობაში, მან ყურადღება მიაქცია იმას, რომ პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტები, სამმართველოები და ტრესტები, სახალხო მეურნეობის საბჭო და სამინისტროები, აჯამებენ რა შეჯიბრების შედეგებს გარკვეულ პერიოდში, როგორც წესი, განხილავენ მხოლოდ იმ კოლექტივების მუშაობის შედეგებს, რომლებიც უკეთეს მაჩვენებლებს აღწევენ.

ანალოგიური მდგომარეობაა საწარმოებშიც, სადაც შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას ადმინისტრაცია და პროფორგანიზაცია ყურადღებას უთმობენ მხოლოდ მოწინავე საამქროებს, მოწინავე მუშებს. ამრიგად, მათ მხედველობის არედან ზოგჯერ სრულიად დამორჩენილთ ხოლმე კოლექტივები და ცალკეული ბრიგადები, მუშები, რომლებიც ვერ ასრულებენ თავიანთ სოციალისტურ ვალდებულებებს, ხოლო ასეთი კოლექტივები და მუშები ცოტა როდია. საკმარისია ითქვას, რომ სახალხო მეურნეობის საბჭოს 486 საწარმოდან 1959 წელს გეგმა და ნაკისრი ვალდებულებანი არ შეუსრულებია 78 საწარმოს.

ჩვენი პროფკავშირული ორგანიზაციები და სამეურნეო ორგანოები ხშირად არ სწავლობენ მიზეზებს, რომლებიც ხელს უშლიან დავალებათა და ვალდებულებათა შესრულებას, არ აინტერესებთ, თუ რა სიძნელეები ეღობებათ კოლექტივებს ან ცალკეულ წარმოების მუშაკებს, და რა დახმარება ესაჭიროებათ მათთ.

სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები მუდამ უნდა უკეთებდნენ ღრმა ანალიზს ყოველი ცალკეული საწარმოს მუშაობას, უნდა სახავდნენ და ახორციელებდნენ კონკრეტულ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას ყველა საწარმოს მიერ, გამომუშავების ნორმებისა და ნაკისრ ვალდებულებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას ყველა მუშის მიერ.

სამეურნეო და პროფკავშირულ ხელმძღვანელებს, ამბობს ამხ. მეჟავნაძე, უნდა ესმოდეთ, რომ მათს მუშაობას შეფასებენ იმის მიხედვით, თუ როგორ მეთაურობენ ისინი მასების შემოქმედებითს ინიციატივას სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში, როგორ შეასრულებენ მათდამი დაკვეთმდებარებულ საწარმოთა კოლექტივები ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს.

ვ. პ. მეჟავნაძე შეეხო საწარმოო თათბირებს, როგორც წარმოების მართვაში მუშათა ფართო მასების უშუალო მონაწილეობის ფორმის, როლის საკითხს, აღნიშნა პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების ამოცანები მუშა-მოსამსახურეთა შრომის პირობებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების საქმეში.

მშრომელთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების აუცილებელი პირობაა სპინოლი მშენებლობის შემდგომი განვითარება. პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ მასობრივი საზოგადოებრივი კონტროლი სპინოლი მშენებლობის მიმდინარეობისადმი, გამონახონ დამატებითი რეზერვები მისი გაფართოებისათვის.

თავის გამოსვლაში ამხ. მეჟავნაძემ აღძრა საკითხი, რომელიც დაკავშირებულია რესპუბლიკაში შრომის კანონმდებლობის გამოყენებასთან. მან აღნიშნა, რომ არის ბევრი ფაქტი, რომლებიც მოწმობენ, რომ საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტები უნარიანად ვერ იყენებენ თავიანთ უფლებებს ან მათ უფლებებს არღვევენ ცალკეული სამეურნეო ხელმძღვანელები. ზუსტად უნდა დავიცვათ არსებული დებულება საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების უფლებათა შესახებ.

შემდეგ ვ. პ. მეჟავნაძე ამბობს, რომ ბევრი ფუნქცია, რომლებსაც სახელმწიფო ორგანოები ასრულებენ, თანდათანობით უნდა დადავიდეს საზოგადოებრივი ორგანიზაციების გამგეობათაში. ახლა უკვე ბევრ ფუნქციას, რომლებსაც წინათ სახელმწიფო ორგანოები ასრულებდნენ, პროფკავშირები ახორციელებენ. როგორც ცნობილია, უკვე დიდი ხანია სოციალური დაზღვევის საკითხებს განაგებენ პროფკავშირები, ხოლო ამჟამად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით ყველა კურორტი პროფკავშირთა გამგებლობაში გადადის.

ამ დიდ და პასუხსაგებ მუშაობაში პროფკავშირებს ყოველმხრივი დახმარება უნდა გაუწიონ პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებმა.

საბჭოთა საზოგადოების განვითარებასთან ერთად იცვლება აგრეთვე სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის მეთოდები, სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლევა მასების ორგანიზაციასა და დარწმუნებას. იძულება არასოდეს არ ყოფილა მთავარი მეთოდი სოციალისტური სახელმწიფოს საქმიანობაში. იძულების სფერო ახლა კიდევ უფრო მცირდება.

მდგომარეობა ჩვენი ქვეყნის შიგნით უკანასკნელ წლებში სერიოზულად შეცვალა. ჩვენში არ არის მასობრივი დამნაშავეობის სოციალური მიზეზები. სისხლის სამართლის დანაშაულობათა რაოდენობა წლითიწლობით მცირდება, მაგრამ საზოგადოებრივი წესრიგისა და კანონების დარღვევის ფაქტები ჩვენში ჯერ კიდევ ცოტა როდია და მათ წინააღმდეგ გადაჭრით უნდა ვიბრძოლოთ.

დამნაშავეობისა და სოციალისტური მართლწესრიგის დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის წარმატება, განაგრძო ამხ. მეჟავნაძემ, დამოკიდებულია უწინარეს ყოვლისა იმაზე, რომ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში მონაწილეობდეს ყველა პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაცია, ფართო საზოგადოებრიობა. შექმნილი ნებაყოფლობითი რაზმეულები, ამხანაგური სასამართლოები და სხვა საზოგადოებრივი ორგანოები სახელმწიფო დაწესებულებებთან ერთად უკვე ასრულებენ საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვის ფუნქციებს, თავიდან გეკაცილებენ დანაშაულს, რომელსაც ზიანი მოაქვს საზოგადოებისათვის.

მაგრამ ბევრი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაცია ჯერ კიდევ გულგრილად ეკიდება იმ მუშაობა და მოსამსახურეებს, რომლებმაც რაღაც ანტისაზოგადოებრივი დანაშაული ჩაიდინეს და ან დაარღვიეს კანონი და არ განიხილავენ მათ საქმეს თავიანთ კრებებზე, საკმაო ყურადღებას არ აქცევენ ამხანაგური სასამართლოები უმთავრესად არჩევენ საწარმოო ხასიათის საკითხებს, ცოტას არჩევენ ან საკმაოდ არ არჩევენ საყოფაცხოვრებო, მორალური ხასიათის საკითხებს, კოლექტივის წევრთა არასწორი საქციელის ფაქტებს.

პროკურატურის, მილიციისა და სასამართლოს მუშაკებს ჯერ კიდევ არ გაუკეთებიათ საკმარო პრაქტიკული დასკვნები პარტიის მითითებებიდან კანონების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოებრიობის როლის გაძლიერების შესახებ, ძალიან იშვიათად მიმართავენ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, სუსტად იხდიან მათ მუშაობაში დამხმარეობის, მართლწესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ.

ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა ჩვენს ქვეყანაში საერთოდ მოვსპოთ დამნაშავეობა. უნდა შევქმნათ ისეთი ვითარება, როცა ადამიანები, რომლებიც არღვევენ კანონებს, საბჭოთა მორალის პრინციპებს, გრძნობდნენ თავიანთი დანაშაულის დაგმობას მთელი საზოგადოების მიერ, მთელი ხალხის მიერ.

თავისი სიტყვის დასკვნითს ნაწილში ვ. პ. მეჟავნაძე შეეხო პროფკავშირთა მდგომარეობას კაპიტალისტურ ქვეყნებში. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ცხოვრების მიერ მუშათა და პროფკავშირული მოძრაობის დღის წესრიგში დასმული ერთ-ერთი მთავარი საკითხია მშვიდობის განმტკიცების, ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილების საკითხი.

მსოფლიოს მშრომელთა საიმედო ბურჯი მათს ბრძოლაში მშვიდობისათვის არის საბჭოთა კავშირი. მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობისათვის ბრძოლა სოციალისტური სახელმწიფოს ორგანული თვისებაა.

მშვიდობისმოყვარე ძალების დიდი გამარჯვება იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინდონეზიაში, ინდოეთში, ბირმასა და აკიანეთში ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ისტორიულ მოგზაურობათა შედეგები. ამჟამად მთელი პროგრესული კაცობრიობა უდიდესი ყურადღებით ადევნებს თვალს საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურის ყოფნას საფრანგეთში.

თავისი სიტყვის ბოლოს ვ. პ. მეჟავნაძემ ყრილობის მონაწილეთა ტაშის გრალში განაცხადა:

— ნება მიბოძეთ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით გამოვთქვა რწმენა, რომ საქართველოს პროფკავშირები მთელი ენერგიით იბრძოლებენ მათ წინაშე დასახული ამოცანების განხორციელებისათვის, კიდევ უფრო მეტიროდ დარაზმავენ მუშათა კლასსა და ინტელიგენციას კომუნისტური პარტიის გარშემო, გაამრავლებენ თავიანთ წვლილს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარემ **მ. მ. ლელაშვილმა.**

ყრილობამ საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მუშაობა საანგარიშო პერიოდში დამაკმაყოფილებლად ცნო. ერთხმად დამტკიცდა საარევანო კომისიის ანგარიში.

მოსმენილ მოხსენებათა გამო მიღებულია გადაწყვეტილებანი.

არჩეულია საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს და საარევანო კომისიის ახალი შემადგენლობა.

ყრილობამ ცხადყო საქართველოს პროფკავშირთა და რესპუბლიკის ყველა მშრომელის ურღვევი შეკავშირება კომუნისტური პარტიის გარშემო.

(საქდესი).

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საგჭოს პირველი პლენუმი

25 მარტს გაიმართა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პირველი პლენუმი.

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარედ პლენუმმა აირჩია **მ. მ. ლელაშვილი.**

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მდივნებად არჩეული არიან **ი. პ. ხეთაგური** და **მ. ი. ბრეგაძე.**

პლენუმმა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის წევრებად აირჩია **ი. ს. ავალიანი, მ. ი. ბრეგაძე, ი. ე. ვადოვი, ე. მ. ღავთაძე, ს. მ. დიაროვა, გ. კ. ძიძიგური, გ. ი. ჟორჟოლაძე, მ. მ. ლელაშვილი, ლ. ი. მაღლაფერიძე, გ. მ. ფერაძე, ი. პ. ხეთაგური, დ. ზ. ცირეკიძე, ს. ვ. ცომაია, ი. ს. ჩოჩია, ი. დ. ჭუმბურიძე.**

* * *

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს საარევანო კომისიის სხდომაზე საარევანო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა **რ. ა. ავეტისოვი.** (საქდესი).

ვ. გაგანოვა მეთაურობს ახალ ბრიგადას

ვიშნი ვოლოჩეკი, 24 მარტი. (საქდესი). სოციალისტური შრომის გმირი ვალენტინა გაგანოვა, რომელიც შვებულების შემდეგ დაბრუნდა ფაბრიკაში, სათავეში ჩაუდგა ახალ ბრიგადას. გამოცდილებამ და შემოქმედებითმა სახრიალობამ ხელი შეუწყეს წარჩინებულ ფეიერის მოკლე ვადაში მოეპოვებინა ჩინებული მაჩვენებლები.

ახლა ვალენტინა გაგანოვას ბრიგადა ლენინურ შრომითს ვახტზე დგას და დღითიდღე ზრდის პროდუქციის გამოშვებას. მრთველები ყოველდღიურად აწარმოებენ გეგმის გადამეტებით 80-100 კილოგრამ ნართს.

ნოვაია უსმანის რაიონის დელეგაცია საქართველოში

გუშინ ვორონეჟის ოლქის ნოვაია უსმანის რაიონის მშრომელთა დელეგაცია განაგრძობდა საგარეჯოს რაიონის მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობის გამოცდილების გაცნობას.

საბჭოთა მეურნეობა „ვორონეჟსკის“ მეფრინველე ლიუდმილა რიაბინი ეხუმრა სოფელ სართიჭალის XIX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის მეფრინველეობის ფერმას. აქ მას შეხვდა კოლმეურნეობის მოწინავე მეფრინველე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ელიზო გედეხაური. მათ ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი მუშაობის გამოცდილება.

სტუმრები იყვნენ მუხროვანის მერძეველობის საბჭოთა მეურნეობაში.

დელეგაციის წევრები პარტიის საგარეჯოს რაიკომში შეხვდნენ რაიონის ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკებს. პ